



# ილორი

www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru



№271 (330) 3-10 ივნისი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანი 30 თემიტი  
2014 წლის 3 ივნისს ტერენტი ბრანელს დაბადებიდან 116 წელი შეუსრულდა  
წერილები ის მე-6-7 გვერდზე

## ევროკავშირულ დანაშაულთა კლავნი...

ბერძნულად pedo – ნიშნავს ბიჭს, ხოლო სიტყვის მეორე ნაწილი (rast) ნიშნავს არაკანონიერ სიყვარულს ანუ პედერასტი ნიშნავს – ბიჭის არაკანონიერ სიყვარულს, იგივე მამათმავლურ სიყვარულს. ეს სიტყვა აბსოლუტურად ზრდილობიანია, მაგრამ ქმედებას სასირცხვო. “უცხო სიტყვათა ლექსიკონი”

პოლიტიკური ეთიკა არ გახლავთ შიდა მოხმარების საგანი, რადგან ეს დარგი მუდამ საზოგადოებასთან კონტაქტშია, თვით პოლიტიკოსი კი, უკეთეს შემთხვევაში ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს ემსახურება, უარეს შემთხვევაში – რომელიმე პოლიტიკურ ძალას. ეს კი ანგაჟირებულლობას, ესე იგი საკუთარი თავის გაყიდვას ნიშნავს, რაც ათა და ბაბადან საძრახის საქციელად ითვლება! სწორედ ამ პოლიტიკურ ძალასა და ქვეყნისათვის დამღუპველ მათ მისწრაფებებზე გვექნება საუბარი ამ წერილში, რომელიც საკმაოდ მწვავეა, მაგრამ მანაც ვეცდებით შორს არ გავდეთ ჟურნალისტური ეთიკის ფარგლებს, მკითხველებს კი წინასწარ მოუხუხდით ბოდიშს, თუ მათ გონებას საზოგადოებისათვის არც თუ მისაღები და საკმაოდ არასასიამოვნო ეპითეტებით გააბინძურებთ!

არა და არ დაგვადგა იმის საშეკლი, რომ საქართველოს მართვის სადავეებს რომელიმე გულწრფელი და ჯანსაღი პოლიტიკური ძალა დაეპატრონოს!

ძლივს დავისხენით შევარდნადის მოქცევის და სააკაშვილის ნაციონალური მორაობის გამყიდველური პოლიტიკური ძალისაგან თავი, რომ ახლა მეორე უარესად მტრულად განწყობილი პოლიტიკური ჯგუფის ავი ანრდელი ჩამოწვა საქართველოს პოლიტიკურ ცისკიდურზე.

ჯერ კიდევ 2009 წელს, გაზთ “ილორის” 12 მაისის №14 (83)-ში, სტატიაში “ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია”, მე ვწერდი: “სიმახინჯე მხოლოდ სიმახინჯეს შობს, ისე, როგორც შევარდნაქმ შვა სააკაშვილი! ყველაზე დიდი უბედურება კი ის გახლავთ, რომ სააკაშვილი აუცილებლად შობს სხვა სიმახინჯეს, რომელიც დღევანდელი ოპოზიციის წიაღში ბუდობს”.

სამწუხაროა, რომ სრულიად მართალი აღმოჩნდი (ენა მაქვს ამოსაგლეჯი!!!), რადგან უსუფაშვილი, ხიდაშელი, ზურაბიშვილი, ბერძენიშვილები და მძანი მათნი მაშინ სწორედაც რომ ოპოზიციაში იყვნენ და ჩვენ რომ გვეგონა თავდაუზოგავად ებრძვიან სააკაშვილს და ნაციონალისტსო, თურმე ერთად ხლართავდნენ საქართველოს საწინააღმდეგო გეგმებს!

ამ რესპუბლიკელებს განათლებას ნამდვილად ვერ დაუწუნებს ადამიანი, მაგრამ რაც უფრო განათლებულია მტერი, მით უფრო მალულად შემოგაპარებს შესამსა და სამსალას და მისი დროულად გამოაშკარავება და დამარცხება საკმაოდ ძნელია!

თავიდანვე არასასიამოვნო იყო საქმეში ჩახედულთათვის, როცა ბიძინა ივანიშვილმა რესპუბლიკელები ამოიყენა გვერდით და ქვეყნის პატრიოტულ ძალებს ზურგი აქცია. უმეტესობა მაშინ მიხვდა, რომ ივანიშვილი

ამერიკელების შეკვეთას ასრულებდა, მაგრამ თუ ასე მალე “გაშიშვლებოდნენ” რესპუბლიკელები და დაიწყებდნენ საქართველოს საწინააღმდეგო ქმედებებს, არავის ეგონა. ახლა კი ყველა მოუგო გონს, მაგრამ უკვე გვიანია და კიდევ ორი წელიწადი ცდა მოვიყვებს მათ გადასარჩევად, თუ მანამდე საზოგადოების გულისწერობამ კულმინაციას არ მიაღწია და ვადადელი საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნა.

არა და, ყველაფერი რომ იქით მიდის, თვალნათელია!

ახლავა მივხვდით, თუ რატომ გადადგა ასე ფაცხა-ფუცხით პრემიერ-მინისტრობიდან ბიძინა ივანიშვილი, რომელზედაც ხალხი დიდ იმედებს ამყარებდა როგორც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, ისე არჩევნების შედეგაც. მან კარგად იცოდა, რომ ამერიკელების სურვილს წინ ვერ აღუდგებოდა, საქართველოს მორალურად და სულიერად არ დაანგრევდა და ამიტომაც, საკონცენტი პირი საფურთხე-ბლად არ გაიხადა და ჩრდილში დგომა ამჯობინა. მაგრამ მოტყუვდა, რადგან დღემდე სამართალსა და მომავლის იმედს მოკლებული ქართველი ხალხი მისი მადლიერი იქნება, რადგან ავადსახსენებელი ნაციონალური და მათი დორბლიანი ბეღადი სააკაშვილი მოგვაშორა თავიდან, მაგრამ არც იმას დაუვიწყებს, რომ ასევე გადაგვარებულ-გადაჯიშებულნი, “თავისუფლების ინსტიტუტის” დამფუძნებელი დავით უსუფაშვილი, მისი ალი-კვადი ცოლი თინა ხიდაშელი და რესპუბლიკელ მაქციათა მთელი დასი წამოგვასვა თავზე, რომლებიც ნაციონალურებზე მეტი მონდომებით ანგრევენ იმ ყოველივე ქართულს, რაც სააკაშვილსა და მის დაშნაკებს დარჩათ დაუნგრეველი!

აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილს თავისი მრავალმილიარდიანი კაპიტალის დაკარგვის შეუშინდა და ამიტომაც დაჰყვა ბრმაღ ამერიკელთა ბოროტ ნებას. ნამდვილ პოლიტიკოსად კი ჩვენ ის პატრიოტი მიგვაჩნია, რომელსაც სამშობლოსათვის არამც თუ ფული, არამედ საკუთარი სიცოცხლეც კი არ ეშურებ!

საქართველოს პარლამენტს ჯერ არც კი ჰქონდა დამტკიცებული სამარცხვინო ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომ ჩვენი ჯიბით დაფინანსებული საზოგადოებრივი მაუწყებლის არხზე გამოვიდა გარყვნილი და ზნედაცემული არაკაცი გიორგი გვახარია და ენერგოულად გაანაღა საზოგადოებისაგან მოძულეულ პომოსექსუალთა გარყვნილი ყოფის პროპაგანდა.

“რუსთავი-2”, საზოგადოებრივი და ნაციონალთა მხარდამჭერი თუ საკუთრებაში მყოფი სხვა ტელეარხები უკვე დაუფარავად გვარწმუნებენ, თუ რა კარგია იყო ლეს-ბოსელი ან პომოსექსუალი და რა დადებით როლს თამაშობენ ეს გახრწნილ-გადაგვარებულნი ქვეყნის ცხოვრებაში!

ამას კი წინ უძღოდა ევროვიზიაზე ვიდაც ქალად ქცეული წვერებიანი ნაკაცარის “კონნიტად” წოდებული არარაობის გამოჩენა, რამაც ნორმალური საზოგადოების დიდი ზიზღი დაიმსახურა. მე არ ვარ რუსი პოლიტიკოსის ვლადიმერ პირინოვსკის დიდი თავყანისმცემელი, მაგრამ არ შემიძლია პატივისცემით არ აღვნიშნო მისი კომენტარი ამზრუნე “კონნიტასთან”

დაკავშირებით: “ღირსია ვეროპა, რომ ამ წვერის იმედად დატოვო. ეს წვერი განწირულობის, აპოკალიფსისა და მარტობის ნიშანია. ვეროპა დალბა. ქალები და კაცები გამოვლიათ. სულ ტყვილად გავათავისუფლეთ ავსტრია. დღეს მათ ჯოჯოხეთის ცეცხლი აწავთ. მარტო კონნიტა კი არა, მთელი ახალი თაობა ასეთი მყავთ. ჩვენ ცრემლიანი გამარჯვება მოვიპოვეთ, მათ კი დღეს კულტურა უტირით”.

მითხრას ვინმემ, რომ ამ შემთხვევაში, პირინოვსკი მართალი არ არის!

რატომღაც, უცებ დაივიწყეს ევრო-ამერიკელებმა, რომ სწორედ მათგან ესოდენ მოძულეებულმა საბჭოთა კავშირმა გაანთავისუფლა ისინი ფაშისტური ჭირისაგან. დაივიწყეს, რადგან პედერასტებს სამშობლოც ფეხებზე ჰკიდიათ და ხალხიც, რადგან მათ საზრუნავს მხოლოდ კაცის ძებნა წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, მათ არა აქვთ მომავალი, მათ ეშინიათ მომავლის, მათ ეზიზღებათ მომავალი...

აბა რა მომავალი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან მონებოვრე კაცსა და კაცს, ან ქალსა და ქალს?!

აი, მთელი შენი ევროკავშირისა და ამერიკის “სურნელი”, რომელსაც ისე ჯიუტად გვატენიან ცხვირში რესპუბლიკელი ლიბერალისტები, როგორც ვირს პიტნას!

ნუთუ მხოლოდ რუსეთის ჯიბრზე შევდივართ ევროკავშირში?

რუსეთთან ჯიბრმა ბევრ რამეზე წავგატეხინა ცხვირი და უარესიც დაგვემართება, თუ დროზე არ მოვეგეთ გონს! უარესი კი ის არის, რომ საქართველო საერთოდ აღარ იარსებებს მსოფლიოს გეოსტრატეგიულ რუქაზე და ამიერკავკასია მხოლოდ სომხეთითა და აზერბაიჯანით იქნება წარმოდგენილი.

განა სწორედ ამის გაკეთება არ სურდა დაშნაკ, ეთნიკურად სომეხ მიხეილ სააკაშვილს, რომელიც ცდილობდა, რომ საქართველოს დედაქალაქი თბილისიდან ქუთაისში გადაეტანა, რატომ გვეგონია, რომ უსუფაშვილია ძირძველი ქართველი, თუ მის საკმაოდ უცნაურ გვარ-ფუძეს ჩავწვდებით?! აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ არც რესპუბლიკელები იკლავენ თავს პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადამოტანაზე, რაც, თავისთავად, ნაციონალური პოლიტიკური ხაზის გაგრძელებას წარმოადგენს!

ერთი სიკეთე მანაც მითხრას ვინმემ, რაც ევროკავშირმა თავის წვერ ქვეყნებს მოუტანა. არცერთ შედარებით გაჭირვებულ ქვეყანას არ უგრძნია შეება, არ განვითარება მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, არ შემცირებია უმუშევართა რაოდენობა, არ განმტკიცებია მორალური და ზნეობრივი იდეალები... ერთადერთი შედეგად გახლავთ “შენგენის” ზონის ქვეყნებში უვიზო მოგზაურობა, რაც სამუშაოს ძებნას გადაგებული შრომისუნარიანი მოსახლეობისაგან საბოლოოდ დაცლას უქადის ისედაც მოსახლეობადმცრობილ საქართველოს. თვალშისაცემი კი მხოლოდ ისაა, რომ მოსახლეობის შემცირების კვალდაკვალ იზრდება არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა. მოქცევირ-ნაციონალ-ოცნების ტიპისათვის ამგვარი “ფარდობითობის თეორია”, უგველია, არჩევნების გაყვლების

უტყვარ რესურსს წარმოადგენს მმართველი გუნდისათვის!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმში „ღვთისმშობლის თავყანისცემის ტრადიცია მართლმადიდებელ ეკლესიაში“ მონაწილეობა მიიღო და საკუთარ გამოსვლაში საზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ევროსივრცეში შესვლას, რაც გარყვნილების დაკანონებაშია გამოხატული, დღეს ერთადერთი მოწინააღმდეგე ჰყავს – ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და მისი საჭეთმკრობელი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

„ორი ათასი წელი იწურება მას აქვთ, რაც თავს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად ვოვლით (ხოლო ამ სიმბოლოში, უნდა ვიფიქროთ, ეროვნული მისიის გასაღებიცაა ჩადებული), და ორი ათასი წლის განმავლობაში ერთი ნაბიჯითაც კი ვერ მივუახლოვდით მალად არსს. პირიქით, ჯიუტად და შეუპოვრად სულ იმას ვცდილობთ, უკან-უკან ვიაროთ; იმ ზომამდე, რომ დროდადრო სულელი თვითმკვლელობის მცდელობაც კი გვაქვს“ – აღნიშნა მართლაც გადაგვარებულმა დავით უსუფაშვილმა. ეს კაცუნა იქამდეც კი წავიდა, რომ ქართველების მიერ მართლმადიდებლობისადმი მოწოდება და ერთგულება “კომუნიზმის მეტასტაზს” შეადარა, რის დასტურდაც ვიდაც მწერალ ჯემალ ქარხხაძის სიტყვები მოიტანა.

მოკლედ, “არ გათვთრდების ყორანი...”

ამრიგად, განსხვავება რესპუბლიკელებსა და ნაციონალურ შორის მხოლოდ ის არის, რომ თუ ნაციონალური (საკაშვილი, უგულავა, გაბაშვილი და სხვები) საზოგადოებისაგან მალულად უტყვენ ეკლესიას და საკუთარ კვლიაში უყვიროდნენ ილია მეორეს, რესპუბლიკელები ამას აკეთებენ ილია, ყველას დასანახად, რათა გარე ძალები დაარწმუნონ, რომ საქართველოში “ევროპული პროგრესის” წინააღმდეგე მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიაა და თუ იგი ისევე არ დაიბოძბა, როგორც ეს სერბეთში მოხდა, საქართველოს “საშეკლი არ იქნება”!

ესეც შენი ევროკავშირი, ესეც შენი რესპუბლიკელები, ესეც შენი უსუფაშვილი და კიდევ ერთხელ გატუტუცებული საქართველო!

რითი ვერ უნდა შევიგნოთ, რომ ევროკავშირი ნიშნავს იმ ქართველი “ფლეიჩერების” მომრავლებას, რომლებიც კატეგორიულად უგულვებელყოვენ პირისა და უკანალის ტრადიციულ დანიშნულებას! და ამგვარი საქციელით ვფიქრობთ ჩვენ აფხაზებისა და ოსების მოხიზვლას?

ცხოვრებული ბაბუაჩემი კაცობადაკარგულ არსებებს “ცოცხლად მკვდრებს” უწოდებდა. ეს კი “ზომბს”, ესე იგი, მოსიარულე მკვდარს ნიშნავს. სწორედ ამნაირი ხალხის თავყრილობა გახლავთ დღეს რესპუბლიკელები და მათგან ესოდენ მოწონებული ევროკავშირი!

თქვენი არ ვიცო, მე კი მიმიფურთხებია ამგვარი ევროკავშირისათვის!

როლანდ ჯალაღანია, “აია“-ს და “ზაზისი“-ს აკადემიების წევრი

# გიორგი შარვაშიძე

გიორგი შარვაშიძისადმი საზოგადოების გარკვეული ნაწილის ინდეფერენტულობის თაობაზე განაცხადა მის დაკრძალვაზე ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ ნიკო თავდგირიძემ: “შენი ხალხისათვის თავისუფლების მოპოვების ხმადაცაა აღიარების გამო იმ დროს, როცა ყველა წრის ჩვენ საზოგადოებას დღის წესრიგად მიანათებ იმპერიის მთავრობის წყარადღება, შენ აკრძალული გქონდა შენს სამშობლოში – აფხაზეთში ხანგრძლივი ცხოვრება, მხოლოდ 1905 წლის შეკვეცილ უფლებათა მოპოვების შემდეგ შესძლედ დაუბრუნდებოდა აქ გეცხოვრა; დაუყოვნებლივ მთავრად შენს ქვეყანას, მაგრამ რა დაგხვდა? იმ ხალხმა, რომლებსაც ღირსებას უცხოელები შენი პატივს სცემდნენ, რომლებსაც თავისუფლებისათვის შენ შესწირე მთელი შენი დიდებული კარიერა, ყოველივე შენი ქონება, სიმდიდრე, შენი აქ ჩამოსვლა ვერც კი შეამჩნიეს. ყოველივე შემთხვევაში, შენი აქ ყოფნით ვერ ისარგებლეს. თუ ეს გარემოება მოსამართლე იყო ამ ორი წლის წინეთ, ესაა ამ უკანასკნელ დროს, როცა ყველა ეროვნებას მიენიჭა თავისუფლად ამოსუნთქვის უფლება, შენდამი უყურადღებოდა სწორედ დანაშაულები იყო... რა უსამართლობა, რა ირონიც ცხოვრების: მთელი შენი მშვენიერი, მომხიბლავი ახალგაზრდობის ძალა, არა ჩვეულებრივი განსაკუთრებული უპირატესობით აღსავსე გარემოება მსხვერპლად შესწირე იმას, რომ შენს პატარა, მაგრამ შენთვის ცხოვრებაში ერთადერთ საფასურ-განამს – ახსაზეთს თავისუფლება მოეღინებოდა და შენ უკანასკნელი თავის ძალით, როგორც ბიბლიური სიმონი მიპყრობდა მას, მაგრამ შენი საყვარელი ხალხის ნაწილმა გვერდი ავიხვიდა, ვერ შეგამჩნია შენ და იმ ადამიანებს მიჰყვა, რომელთან ბრძოლას შენი ხალხის დაჩაგრისათვის მთელი შენი კაცობა შორის აღიარებული ბედნიერება შესწირე” (გურნ.: “თეატრი და ცხოვრება”, №10; წგნ.: გიორგი შარვაშიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. II. ქუთაისი, 2006, გვ. 39-40, ხაზგასმა ჩვენი – ზ.პ.).

ქართული ფეოდალური არისტოკრატის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილმა გიორგი შარვაშიძემ ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა როგორც მშობლიური აფხაზეთის, ისე თავისი დიდი სამშობლოს – საქართველოს, რომელსაც ის ხშირად იყვინას უწოდებდა, სიყვარული და ერთგულება. ის, რომ გიორგი შარვაშიძე თავის სამშობლოდ პირველ რიგში მიიხსენებდა საქართველოს მთლიანად და არა საკუთრივ აფხაზეთს, არავითარ ეჭვს არ იწვევს. თუმცა ეს სულაც არ გეპაძევეს უფლებას, ეჭვი შეგიტანოთ მის, ისევე როგორც საერთოდ გვიან შუა საუკუნეების შარვაშიძეთა საგვარეულოს აფხაზეთში ეთნო-ტომობრივად, როგორც ამას თავგამოდებით გეციქდაგებენ დღეს ცალკეული ჩვენი კოლეგები. გიორგი შარვაშიძეს, რომელიც უდავოდ იყო ქართველი ისტორიულ-კულტურულად, სახეებით ნათლად ჰქონდა გაცნობიერებული თავისი ეთნო-ტომობრივი აფხაზეთა. ამის მკაფიო დადასტურებაა მისი ერთ-ერთი პოეტური შედევრი “გარდა”, რომელშიც ის მთელი გრძობით გამოხატავს სურვილს, რომ არ მოწყდეს თავის აფხაზეთ ფესვებს: “განგებავ! ამას ნუ მიწვევ, ვერ გადაგვგვარდვ გვარდა, ხანდისხან წაიღილურნო მამაპაპური ვარდა”. (ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე... – შრომები... გვ. 22).

სწორედ აღნიშნავს აკად. სიმონ ჯანაშია, რომ “მშობლიური თავისებურების დიდი გრძობის წიაღში შეიძლება მხოლოდ დაბადებულიყო ისეთი შედევრი, როგორცაა... აფხაზეთი სიმღერა “გარდა” – უშინაგანესი ლირიკული მღვდლარების პოეტური შენივრება” (ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე... – შრომები... გვ. 22).

და ეს აფხაზი, მშობლიურ აფხაზეთზე უსაზღვროდ შეყვარებული, თავისი კუთხისა და აფხაზეთის ენის შესანიშნავი მცოდნე, ამავე დროს იყო თავისი დიდი სამშობლოს – საქართველოს ჭეშმარიტი შვილი და გულანთებული პატრიოტი, რომელიც ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას, შეეგრად დამღვარიყო საქართველოს სადარაჯოზე, დაეცვა მისი ეროვნულ-კულტურული თვითმოყოფადობა და საკადრისი პასუხი გაცვა ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოხურებისათვის. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც გიორგი შარვაშიძის წერილი გერმანული გაზეთის “Berliner Tageblatt”-ის რედაქტორისადმი, პასუხად აღნიშნულ გაზეთში კორესპონდენტ ლორენცის მიერ გამოქვეყნებული სტატიისა. ამ სტატიაში კორესპონდენტს მკითხველებს მოუთხრობდა მისი ყოფნის შესახებ გაგრამ პრინცი ოლდენბურგის მიწვევით. კორესპონდენტის მტკიცებით, წვეულების დროს “ადგილობრივი მაღალი წოდების წარმომადგენლებს, რომლებიც ემსახურებოდნენ სუფრას”, თურმე “ერთ-ერთი სტუმრისათვის პალტო მოუპარათ”. ასევე ერთგვარი ზიზღით წერდა ლორენცი თბილისზეც, იგი აღნიშნავდა, რომ “აქ ადამიანები და ცხოველები ერთნაირ მდგომარეობაში არიან”.

პასუხობდა რა გერმანელი კორესპონდენტის ამგვარ თავხედურ გამოხედვებზე, გიორგი შარვაშიძე წერდა: „Да, мы еще не дошли до европейской высоты цивилизации..., и такая отсталость может и делает нас похожим на людей медного века, но об этом не сожалеем, находим, что не следует усваивать себе... весь хлам, именуемый некоторым прогрессом, а мы стараемся выбирать из него, как жемчужины, выдающиеся произведения литературы и искусства, следим за открытиями в науке, словом, берем лишь то, что считаем с пользой применимым к жизни и обществу. Так, безхитростно мы живем, и если бы г. Лоренц больше вынюхивал в бытовые стороны, он бы понял все это и многое другое; узнал-бы, что этот народ, к которому он относится презрительно, имеет блестящее историческое прошлое; что грузины – рыцары, ходившие в крестовый поход поборниками первого христианства, стояли у врат Кавказа... в течение пятнадцати веков не для того, чтобы врываться в чужие страны и расхищать чужое добро, а для защиты отечества, – для охраны христианской культуры и гражданского быта, узнал бы, также, что у грузин есть богатейшая древняя эпическая литература, сравнимая с мировыми произведениями; узнал бы, что в иерархии грузинских царей и народа встречаются имена необыкновенных героев и людей гениальной мудрости и т.п.

Можно бы еще многое сказать, – ასრულებს თავის წერილს გიორგი შარვაშიძე – но золотые страницы прошлого этого народа, омывтые слезами и кровью всей нации, нельзя передать в газетном столбце. По правде говоря и не стоит. К чему метать бисер...” (ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე... გვ. 285-286, ხაზგასმა ჩვენი – ზ.პ.).

ამ წერილიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ გიორგი შარვაშიძისათვის აფხაზეთი და აფხაზეთი ქართველებისა და საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ეს არის ერთიანი კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სამყარო. ქართველთა და აფხაზთა ამ საერთო სამშობლოთი ამყოფს ის. აი, რატომ, რომ 1917 წელს, როდესაც გამოიკვეთა ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღორძინების კონტურები, გიორგი შარვაშიძე მთელი არსებით მიესალმა ახალი ეპოქის დადგომას. ამასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს მისი წერილი, გამოქვეყნებული გაზეთ “საქართველოს” (1917 წ. 25-29 ივნისი) ფურცლებზე:

“მართალია, ჩვენს სამშობლოს ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთს ვამს გაშეშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. დიად, ჩვენ შევიძლია თამამად ვთქვათ, რომ იღბლის უკუღმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინააღმდეგ კი ვიქნებოდით ჩვენ დღეს; ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გეციქდაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველად, შუბებით ხელში, ნადრობდნენ ტყვეებში. მას მევე, როგორც იყო, ომით, მუდამ დავიდარბობთ, მოვიტანეთ ჩვენი კულტურის ცხოვრება თამარ დელოფის დროში, რომელიც იყო ივერიის ოქროს ხანა! შემდეგ კი უკუღმართად დატრიალდა ერის არსება. შემოსეული მტრები არ გეპაძევენდნენ საშველს და ხალხი დაიღალა. ნელ-ნელა ჩაქრა დიდებული კონებრივი და ქონებრივი თანხა ქვეყნისა და დაიშალა ცხოვრება თვითარსებობისა. ენა გაღარბდა, ხეობა წავიხიდა, ქონება შეძლება დაეკარგეთ, რაინდობა და პატიოსნება განეგადეთ და ბოლოს მოგაღწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობასა ვიოვნოდით ჯამუშობაში და სამშობლოს მტრობაში... ამ დროს, როდესაც შეგნებული ნაწილი იერთა დაკუწულ ხალხსა, ხელგულდაკრეფილი, იგდა საფლავებზე თავის დაიწვებული, დამარხული დიდებისა, დღეს, უცვრად გაისმა ხმა სიმართლისა და თავისუფლებისა! დაქრა საქართველომ ნადარა, დაჰკიედა ვაშა, ვაშა!”

და ასეთი ეროვნული გამოღვიძების ფონზე გიორგი შარვაშიძის გულს უკლავს მანათა შეძახილები: “ჩვენ არა გვსურს თავისუფლება, არ ვეძებთ ავტონომიას, ხალხი ქვეყნიერობისა ყველა ერთია, ჩვენ გვინდა მხოლოდ მუშა ხალხს მიეცეს სიკეთე-შედეგათი. ამისათვის საჭიროა მამულები ჩამოერთვას მებატონეებს და დაურთდეს მით მუშებს, ძირს წოდება და მიწაპატრონობა და სხვ... აგრე – სოფლურ ანგარიშზე ჩამოქვეითდა ბრწყინებულ მზე ერის განთავისუფლებისა და გამოცოცხლებისა” (გ. შარვაშიძე. სოციალიზმი და საქართველო. – გაზ.: საქართველო, №137-140, 1917 წ.; გიორგი შარვაშიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. ქუთაისი, 2006, გვ. 306-307. ხაზგასმა ჩვენი – ზ.პ.). მართლაც ძნელია არ აღფრთოვანდეს გიორგი შარვაშიძის ამ დიდი ეროვნული, ჭეშმარიტად ილიასეული შემართებით.

(გაგრძელება იქნება)

## შესაძლებელი იყო თუ არა დარიალის ხეობის ტრაგიდიის თავიდან აცილება

დარიალის ხეობაში მთა მოწყდა, რამაც მდინარე თერგის დაგუბება გამოიწვია. ხეობაში მოსახლეობისა და მგზავრების ევაკუაცია განხორციელდა. მთის მასის ქვეშ მოყოლილი ადამიანებიდან მსშველებმა 15-მდე მათგანი ცოცხალი ამოიყვანეს. რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას სამი თურქი მუშის დაღუპვის შესახებ, ეს ფაქტი, მოგვიანებით ოფიციალურად დადასტურდა.

შესაძლებელი იყო თუ არა დარიალის ხეობის ტრაგიდიის თავიდან აცილება, კითხვა აქტუალურია. ტერიტორია, სადაც “დარიალიძის” მშენებლობა მიმდინარეობდა, არ იყო შესწავლილი არც პიდროლოგიური და არც გეოლოგიური თვალსაზრისით. ამის შესახებ BPN-თან საუბრისას არასამთავრობო ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივას” ხელმძღვანელმა, მანანა ქოსტაძემ განაცხადა.

მშენებლობის წინააღმდეგია გეოლოგი იავო კახალიაშვილიც, რომელიც ჯერ კიდევ 2 წლის წინ მის მოსახრებებს სოციალურ ქსელზე Facebook-ზე აქვეყნებდა. აქვე გთავაზობთ იავო კახალიაშვილის ჩანაწერს, რომელიც მან 2012 წლის თებერვალში გამოაქვეყნა.

**იავო კახალიაშვილი:** “ინტერნეტში შემთხვევით ვნახე ლარსი (დარიალი) ჰესის პროექტი, გამოქვეყნებული ენერგეტიკის

სამინისტროს მიერ, რის გამოც თავი მოვალედ ჩავთვალე გამეზიხილა ჩემი ხედევა.

ძირითადად ჩამაფიქრა საღეჭარის მდებარეობამ, რომელიც მდ. ყუროს და თერგის შესართავთანაა დაგეგმილი.

თავად დაბა სტეფანწმინდა მდ. ყუროსა და მის სამხრეთით მდებარე ორი ხევის მიერ შექმნილ გამოხიდივის კონუსზე მდებარეობს.

დაბა სტეფანწმინდიდან ჩრდილოეთით, მდ. თერგს ერთმანეთისგან 200-300 მეტრის დაშორებით მარჯვნიდან მდ. ყუროს ერთისი, მარცხნიდან – მდ. ჩხერი. მათი შეერთების ადგილი მძლავრი კონგლომერატების წარმოქმნით გამოირჩევა. ორი მდინარის მიერ გამოტანილი ნაშალი მასალის ტრანსპორტირება – თერგის ფუნქციაა. ამასთან, პალეოგეოგრაფიულ პერიოდში, თერგი ვერ ასწრებდა რა ყუროსა და ჩხერის მიერ წარმოქმნილი ნაშალის გეტანას, წარმოიქმნა ვაკე ჭალები სტეფანწმინდიდან სიონის და სნოს ხეობის მიმართულებით.

ყურო-ჩხერის თერგთან შეერთების შემდეგ კი სტეფანწმინდიდან დარიალის მიმართულებით მდ. თერგის მკვეთრი ვარდნა – სწორედ ამ მდინარეთა მიერ შექმნილი დაგროვილი ინერტული მასალის შედეგია.

ამით იმის თქმა მინდა, რომ მდ. თერგი ვერ უზრუნველყოფს

ნალექის სწრაფად ტრანსპორტირებას. ანუ, იმდენად დიდია ყუროსა და ჩხერის მიერ ჩამოტანილი ნალექი, რომ თერგი გატანას ვერ ასწრებს.

სტეფანწმინდელები თითქმის ყოველდღე უყურებენ და უმხმენ, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, მწვერვალ ყუროდან წამოსულ ქვის ზეგებს, რომელიც გამოიშვების შედეგად (ფიზიკური და ა.შ.) წარმოიქმნება. აღნიშნული ზეგებით ჩამოტანილი ქვა-ღორღი გროვდება მდ. ყუროს ვიწრო ხეობაში, მდინარე კი ასე თუ ისე ტრანსპორტირებას უკეთებს ნაშალ მასალას მდ. თერგისაკენ. თერგი თავის მხრივ წმინდავს ყუროს მიერ მოტანილ მასალას და დარიალისაკენ მიაქვს იგი. ზაფხულის ცხელ დღეებში, მყინვართა დნობისას, მდ. ყურო ზეგების მიერ დაგროვილ მასალას განსაკუთრებით ინტენსიურად ედინთავს წყლით, გადააქვევს ღვარცოფვად და სელური ნაკადის სახით მიაქანებს მდ. თერგისაკენ. ყუროს მიერ წარმოქმნილი სელური ნაკადი გზად ყველაფერს ანადგურებს, მის მიერ ერთჯერად ჩამოტანილი მასალა ასეულობით კუბურ მეტრს შეადგენს, რამდენიმეჯერ თერგიც გადაუკეტავს.

ყუროდან სელური ნაკადების გამოსვლა წელიწადში რამოდენიმეჯერ ხდება!

ყურო-თერგის ბუნებრივი ბალ-

ანსი ძალზე მგრძობიარეა და დღეისთვის, ასე თუ ისე შენარჩუნებულია!

რუკაზე ნაჩვენებია საღეჭარის მდებარეობა რომელიც ღვარცოფული მდ. ყუროსა და თერგის შესართავთანაა. ჩემი აზრით (თუ ენემემ მომისმინა), ყოველად დაუშვებელია მანდ რაიმე მშენებლობის წარმოება! და აი რატომ:

1. აღნიშნულ ადგილას საღეჭარის მოწყობის შემდეგ მდ. თერგი რომელიც ტრანსპორტირებას უწევს თავისი მრავალრიცხოვანი შესაქადებიდან წამოღებულ მასალას, დაგროვდება ყუროს და ჩხერის შესართავებთან, რაც გამოიწვევს თერგის კალაპოტის აწვევას ათეული მეტრებით! (სამაგალითოდ იხ. მდ. არაგვის ჭალები სოფ. ანანურთან).

2. ღვარცოფული მდ. ყურო თავის ჩამოტანილ მასალას ვეღარ გატანს თერგს, იგი დაგროვდება, გამოავსებს ისედაც ვიწრო ყუროს ხეობას, რის შედეგადაც დაბა სტეფანწმინდა საფრთხის წინაშე აღმოჩნდება!

3. მდ. ჩხერიც იგივეს იზამს რასაც ყურო! (მაგალითისთვის იხ. არაგვის ხეობა მლეთასთან ლომისის მიდამოები).

გარდა ამისა თუ წყალი მთლიანად შეუშვებს გვირაბში სტეფანწმინდიდან გველეთამდე, ჩემი აზრით, ისედაც მწირ ბუნებრივ საფარსაც საფრთხე შეექმნება და აი რატომ: ხეობაში დაშ-

რება წყალი, რომელიც თავის მხრივ აერაციის ზონასა და გრუნტის წყლის დონის ცვალებადობას გამოიწვევს. დონის ცვალებადობის შედეგად – ბუნებრივი საფარი გაქრება.

თუ ვინმეს გეღარდებათ ეს ყველაფერი ხმა ამოიღეთ!!! თავის დროზე, სწორედ აღნიშნულ ადგილას, დიდი კაშხლის მშენებლობა კომუნისტებს ნიკო კეცხოველმა შეანერგინა.

**იავო კახალიაშვილი, გეოლოგი**

**P.S. გაეცნო რა წინამდებარე წერილს, “საინფორმაციო გენერალურმა დირექტორმა პატონმა ნუშვარ ბობუშა აღნიშნა, რომ ყველა ტექტონიკური უბედურება სათავეს იღებს ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის ხელისუფლებათა დანაშაულებრივი ქმედებებიდან, რომელთაც ფაქტურად გაანადგურეს ქართული გეოლოგია როგორც მეცნიერება და უმთავრესი გამოყენებითი დარგი. ამიტომ, ამჟამად საგზაო, საცხოვრებელი და სხვა კომუნიკაციების მშენებლობები ხორციელდება ყოველგვარი გეოლოგიური დასკვნების გარეშე. ასე რომ, გამორიცხული არ არის, რომ წინ ახალი საფრთხეები გველოდეს!**

**როგორც ამბობენ, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ღმერთი გეოლოგის საქმის გასაკეთებლად ნამდვილად არ შეიწუხებს თავს!**

# დია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

## ჰამლეტ ჭყონიძე

## “თურაშაულის პატრონი ტყეში ექებდა პანტასა”

ბატონო ბიძინა, გამოუხატავ რა უდიდეს პატივისცემას თქვენი პიროვნების მიმართ, მსურს გაუწყოთ შემდეგი:

როგორც თქვენთვის ცნობილია ე. წ. “ნაციონალების” ზეობის ხანაში ქვეყანაში შექმნილმა სისხლისმსხვერპლმა და უხუცესობის ზეობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ასე, მეტის გაგრძელება გახდა შეუძლებელი, დაიღალა ერი, დაიღალა რაღაც უკეთესის მოლოდინში, მას სწუროდა სიმართლე, ისეთი სიმართლე რომელიც მხოლოდ მართალს და გულმართალს ესაჭიროებოდა და არა მიმდევრებს და მიმტაცებელს. ყოველი მხრიდან იმედოვნად დარჩენილი ერი ოცნებობდა ისეთი თვისებებით დაჯილდოებული პიროვნების წარმოჩენას, რომელიც გამოაფხიზლებდა ერს, ახალ ასპარეზზე გამოიყვანდა ქართველი კაცის მაღალ მისწრაფებებს და შეუსრულებდა მას ღირსეული ყოფნის მარადიულ წადილს. ცხადია, ქართველი კაცი დიდი ხანია ითხოვდა ისეთ წინამძღოლს, რომლისთვისაც უცხო არ იქნებოდა ქართველი კაცის ბუნებითი ბუნებრიობა, იქნებოდა იგივე, ზნესრული და გაწონასწორებული, შეუნარჩუნებდა მას ქვეყნის სასიცოცხლო ობიექტებს, უთუოდ ქართული მიწის ნათვლით, ქვეყანაში ადამიანთა სამართლიანობას და დიდიხანა ჩვენი ისტორიული ღირებულებების მქონე ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის კულტურულ მემკვიდრეობას, პიროვნება რომელიც ჩვენს ისედაც პრეცედენტების ქვეყანაში შექმნიდა ისეთ გონიერ პრეცედენტს, როდესაც ხელისუფლების მიმართ ხალხის უკმაყოფილების გამოხატვის შემთხვევაში ნებაყოფლობით გადადგებოდა, რაც გახდებოდა იმისი წინაპირობა, რომ არასოდეს დადგებოდა დღის წესრიგში სისხლიანის თუ უსისხლოს, ვარდების თუ ნარჯინისფერი რევოლუციების მოწვევა.

როდესაც ქართველი ერი ერთხელ კიდევ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ “ნაციონალებისთანა” ცბიერ და ქართველთა მოძულე ხელისუფლებას ქართული მიწის ზურგზე ჯერ არავის დაუმიძვინა, სძლია რა შიშის გრძობას და გაიცნობიერა ის, რომ სააკაშვილის ბავშვობადაუმიჯნაობა, არასრულქმნილი, ხელისუფლება – არასოდეს გასრულქმნილებოდა, უდიდესი რისკისა და სიცოცხლის ფასად ამოვიდგათ გვერდში. დადგა ქართველი კაცისთვის მართლაც და ის ნანატრი საოცნებო დღე – პირველი ოქტომბერი. ერმა ირწმუნა რა თქვენს პიროვნებაში განგებისაგან მოვედით მსხვერპლი და პატრონი და ენდო რა თქვენს დაპირებებს ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის შესახებ, საგნებით უყოყმანოდ გაგიწინამდგრა რა წინ, დასტურით მოგცათ თქვენი სურვილისა და არჩევანის მიხედვით დაგეგმილქმნილ ბინათ, როგორც პარლამენტი, ასევე აკვერნია პრეზიდენტი. იმ დღეებში ყოველივე ამან კი გამოიწვია ქართველი კაცის შეგნებაში გარდაქმნა იმ კუთხით, რომ გაუჩნდა რწმენა და იმედოვნება, თუ როგორ შეუძლია გაერთიანებულ ერის ძალას აბსოლუტურად უიარაღოდ დაამარცხოს თვით უძლიერესი ტირანიაც კი.

ბატონო ბიძინა, საგნებით გულწრფელად და გადაუჭარბებლად მინდა აღვნიშნო, რომ იმ უერთგულესი და სამშობლოს მოყვარული თქვენი მხარდამხერების ცნობიერებაში, 2012 წლის 2 ოქტომბრის გათენებულ, თქვენ გახდით ქართველი ერის საუცხარო შვილი და ღამის იყო დემოკრატის ერთერთი იპოსტასის რანგში ავიყვანათ ქართველმა კაცმა. ჩვენდა სამწუხაროდ, მერე მოხდა ის რაც არ უნდა მომხდარიყო, რამაც უდიდესი გულმართალეობი და გაურკვევლობის წვედიაში განსაკუთრებული იმედგაცრუება და ნიჰილიზმი გამოიწვია ხალხში, რადგან იგი ფიქრობდა, რომ რაღაც იმაზე მეტი იყო საჭირო, რაც გაკეთდა. ცხადია, ამ “მეტში” რაიმე მატერიალურის გაღება ან ოქროს კოშკების აგება ნაღდად არ იგულისხმებოდა, არამედ ხალხს ეწავა წინასწარწინდელ გაცხადებულ იმ სამართლიანობის აღდგენა, რომელიც თავისთავად გულისხმობდა, პირველ რიგში, დამნაშავე რეჟიმის დასჯას, მერე კი წართმეული ქონების დაბრუნებას, იმ 26 ათასი ახალგაზრდის ღირსების აღდგენას, როგორც ლამობენ სახელმწიფო მუხურეებიდან მოპარული ერთგვნი განხის დაბრუნებას ქვეყანაში, ოფორულ ზონებში დაღუპულ ქვეყნიდან გატანილ

მილიარდების დაბრუნებას ბიუჯეტში, რომელიც უთუოდ საკმარისი იქნებოდა საგარეო ვალების დასაფარად, რაც ღირსებას შეუნარჩუნებდა ჩვენს ქვეყანას.

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მეხუთე საუკუნეში, ბერძენი ფილოსოფოსი პინდარე ბრძანებდა, რომ “სახელმწიფოს ურყევი საძირკველი სამართლიანობა უნდა იყოს”. ამდენად, სამართალი ვერაფრით დაეწია დამნაშავეებს, პირიქით კი მოხდა. სააკაშვილის მიერ მიღებული ანტიკონსტიტუციური კანონებით და ისიც, იმავე ნაციონალებით გაჯერებულ სამთავროდამცავი ორგანოების ხელით სამართლიანობა რომ ვერ აღდგებოდა, დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა. ხოლო ქვეყნის უხუცესის სასამართლოს თავმჯდომარის კორტეკულაშილის თანამდებობაზე დატოვებით კი საქართველოში საბოლოოდ სიკვდილი მიესაჯა სამართალს.

ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას აქვს ასეთი გამოთქმა: “ვინც გველს რქეს ასმევს, ის შხამს უორკეცებს მას”. ძალზე დასანანია, მაშინ, როდესაც ქვეყნის დამაქცევარ მათხრებულ მიხედ სააკაშვილს, უსამშობლო და უღმერთო ე. წ. “თავისუფლების ინსტიტუტის” მესვეურს, ვინმე ლევან რამიშვილ-ასრატიაანს და მის თანამოაზრეებს, კერპთაყვანისმცემელ და ეკლესიების მგრეველ ბოკერია-თარგამაძეს, წლებების მანძილზე არჩევნების გამკაცლებულ მაჭავარიან-გოგორიშვილს, აფრასიძეების ოჯახის ამომწვეველ ბარამიძეს, სისხლისმსმელ მერაბიშვილსა და მის სისხლიან ხროვას, მფარველ კალთასავით რომ გადააფარეთ, დასავლეთიდან შემოგებულნი ე. წ. ჯადოსნური “კოპაბიტაცია”, რომელიც საუბედუროდ გამოდგა ის რაც, რომელმაც შხამიც გაუორკეცა და სიციხელებიც გაუკამრებდა “ნაციონალებს”. აკი, ნამეტნავად “ჭკვიანმა და გონიერმა” პარლამენტის თავმჯდომარემ არაერთხელ განაცხადა, რომ ქართული დემოკრატიის მიზანი “ნაციონალებს” შეუნარჩუნებიათ. მოვიხილოთ კი თქვენ ბრძანეთ: “ისინიც ხომ ჩვენი შვილები არიან და ისე ვერ მოვექცევით როგორც ისინი გვექცეოდნენ”-ო. შექმნიარებლობა და პუნდურება საგნებით მისასაღებელია, მაგრამ ხომ გაანინა, ვისთან უნდა მოხდეს მისი გამოყენება. როგორც ცნობილია, უდიდესი წრესგადასული მოქანურობა ზოგჯერ დიდი ბოროტების მომტანი ხდება ხოლმე, და ასეც მოხდა, სამწუხაროდ. ჩემგან ნამდვილად არ გესწავლებათ, რომ ქართველებს მუდამ ბუდად მოსდგამდა მადლისათვის უმადურობით გადახდა. ამისი მომსწრე და თვითმხილველი თქვენც არაერთხელ გამხდარხართ, რამეთუ ვისაც ხელი გაუშართეთ წლების მანძილზე, მხარში ედქით და ცდილობდით მართებულ გაზაზე დაგვეყენებინათ, სწორედ მან გი-ლაღაბათ, ზოგმა გიყვალა და გაგინაპირდა, უმადურმა კი ხმამაღლად წამოგაძახათ: არ მჭირდება მე შენი დახმარება! რას ვიხამო, ასეა თურმე მოწოდებული მაგანის მორალური სამყარო. ქართველებში თანამოაზრეებისა და საერთოდ კადრების შერწყვა მუდამ პრობლემას რომ წარმოადგენდა, ეს არახალია. “...თუ გინდა პატისინად მოიქცე, მხედველობაში გქონდეს და ერწმუნე მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესს და არა ირგველი მყოფ ადამიანებს, პირადი ინტერესი ხშირად შეაცდენთ მათ” – ამბობდა პელაგეოცი. დათა თუ-თაშხიანი არ იყოს, ვისაც ჩააცვით და დაუსახურებელი თანამდებობები მიუბოძეთ და მიუღწევადი მიადრწინეთ, ვაგლახ, რომ სწორედ ისინი მონიდომებენ თქვენს გახდას! დემოტმა ქნას ვცდებოდე...

სწორედ ამნაირ ქართველებზე თქვა დაეთი აღმაშენებლის მემბტინაე: “ნათესავი ქართველი ორგულ ბუნება არსს პირველითანვე, თვითდაუფალთა, რამეთუ რაგამს განდიდნენ განსუქდნენ და დიდება პონ და განსუენება, იწყებენ განსახებად ბოროტისა”. სწორედ უსუფაშვილმა და მისმა თანამეცხედრემ შეიყვანეს შეცდომაში და თქვენ წარგადგინეს ხალხის წინაშე დეპუტატობის კანდიდატად, ე. წ. ლებტს დამცველი და ერთსქისიანი ქორწინების მედროშე ვინმე კორძაია, რომელიც ქილიკით მოისხენიებს პატრიარქს და ცინიკურად აცხადებს, ბარემ პარლამენტის წევრად უნდა ავეყრნიაო. მთვრე უერთგურობის რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი კი გარყვნილებიხა და ყოველნაირი სიბილწის წინააღმდეგ შემართულ ქართველ ერს გაუნათლებელს

უწოდებს, ხოლო თვითონ კი ფარულად კურირებს სოფელ ჭელაში, დამის საათოში, მინარეთის სასწრაფოდ აღდგენას და სოფლის საკრებულოს თავმჯდომარედ “რესპუბლიკელის მიყვანებას”, რამაც არეულობა გამოიწვია. ამას რომ ვერ ამჩნევს, როგორც ხელისუფლება ასევე პარლამენტი, რაღაც ძალზე საეჭვოდ ეხვეწება ხალხს. რაც შეეხება პრეზიდენტ მარგველაშვილს, რომელიც გახლავთ ის პირველი “მერცხალი” კოალიციაში, რომელშიაც არამცთუ ილანდება “ქართული ოცნებისა” და ერისთვის გაზაფხულის მომეყვანა მცნე-მხარობლობა, არამედ აშკარად იკითხება მისი ჩანაფიქრი, რომელიც გულისხმობს კოალიციის დაშლას და სიამის ტყუილებით შეზრდილ და მასთან განსაკუთრებულ “რესპუბლიკელებთან” ერთად ახალი უმრავლესობის შექმნას, რომელიც უცილოდ მიმართული იქნება ბატონი ირაკლი დარბაშვილის წინააღმდეგ.

ბატონო ბიძინა, თქვენს მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციით, რომელიც ლაშობთ ხელი შეუწყოთ ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებას, სადაც ქართველი არაერთხელ დარბეულ სულში ადღაგინოთ ურთიერთდათმენის, ურთიერთ-მეტყველების და დიდი ერთობის ამსახველი მაღალი პრინციპები, სადაც მიღწეული იქნებოდა თანხმობა, და სიყვარული, ცხადია არის დიდებული და მოფიქრებული პროექტი, მაგრამ ჩემი თვალისა და გონების მისაწვევარზე დაყრდნობით მიმანია, რომ იგი არ ემსგავსება დროულად მოქმედებ ხმალს, რადგან ეს პროცესი გახლავთ ძალზე დაავიანებული, რამეთუ არცთუ სახარბიელო სინამდვილე შექმნილი ჩვენი სამშობლო დღეს იმყოფება სწორედ უფსკრულსა და მწვერვალს შორის მოქანავე მდგომარეობაში, ხოლო მისი ზეგანდებელი დღე კი ყოფნა-არყოფნის სასწორზეა შეგდებული, რომლის ერთ პინაზე დევს “ნაციონალების” მიერ ქართველი ერის გადაშენების – ალენ დაღრისხიული საქვეყნო ცნობილი “დოქტრინა” ხოლო მეორე პინაზე კი ქართველი ერის მიერ საუკუნოობით უბით ნატარები და ნალო-ლიავები თავისუფლების მარადიული განცდა. ქართველმა კაცმა უხსოვრობის დროიდან იცოდა, რომ “უსასრულო ფიქრით ნატეირთი დალატი ჰყავოდა ოდითგან საქართველოში, დალატი თანასისხლიერის შურის და სიძულვილის საძირევი დამწობილი”, ამდენად ე. წ. “ვენმორფიცირებული”, ქვეყნის გამყიდველი ქართველების მიერ სამშობლოს შეყვარებამდე ქვეყანას გამოგუგაცებენ ხელიდან, და მერე ამაოდ მოვესწრებით ჩვენი შვილებისა და შვილი-შვილების გასათენებელ დიდას და საერთოდ ქართველი კაცის სახსენებელს ქართულ მიწაზე.

ქართველებს ვაგვანია ერთი დიდებული შეგონება – “თურაშაულის პატრონი ტყეში ექებდა პანტასა”. არადა, ძალზე გულსატკეპია, სწორედ ამისთანა, ერზე და მამულზე მოფიქრალი პატრიოტთა აღიანის ხელმძღვანელების ბატონი დავით თარხან-მოუხრავის, ბატონი სოსო მანჯავაძის, და “მედიაკავშირ ობიექტივის” დამაარსებლისა და დღემდე კბილებით მომტანის, ქალბატონ ირმა ინაშვილის მიერ გაწეული, დაუ-ლადავი შემართება და დეწლი “ქართული ოცნების” ხელისუფლებაში მოსაყვანად, რაც აბსოლუტურად იგნორირებულია როგორც ხელისუფლებისაგან ასევე პარლამენტისა და მის გარეთ დარჩენილი ვითომ “ოპოზიციისაგან”, იმდაგვარად თითქოს ისინი საერთოდ არც არსებობენ! არადა, ძალზე გულსატკეპია, რადგან ამ ორგანიზაციამ ბევრი რამ გააკეთა თითქმის შიშველი ხელებით, დაწვეული ციხის კადრების გამოშხორებით და დამთავრებული აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ნადი პატრიოტი ქართველების თანადგომით, რომლებმაც ფაქტურად გადაარჩინეს აჭარა ე. წ. “აზოიხის” ვებერთელა მექითის აშენებისაგან, ხოლო, უხერხულადაა აცილებს ჩვენი ქვეყნის პირველ პირს კრდი-დანისთვის მიცემული დასტურის გამო. რა დიდებულია გამოხატავს ჩემი მეგობარი ცნობილი ქართველი პოეტი ვაჟა ეგრისელი თავის ლექსში, ქართველი ერის დღემდე მოუშუშებელ განწყობას და გულისტივილს: “მერე როდესაც წიწამურთან იქუხა თოფმა, შეკრთა და გულზე საქართველომ იტაცა ხელი”. რაოდენ დაუჯერებლადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს, იმ დღეებში საქართველოს პატრიოტთა აღიანის გარდა არც ვგრეთ-წოდებულ ოპოზიციას უტაცია გულზე

ხელი და არც ქვეყნის მიძინებულ პარლამენტს. სწორედ, რომ ბატონი დავით თარხან-მოუხრავი და ქნი ირმა ინაშვილი გახლდათ იმ დედოზარის დამრისხებელი მნათე, რომლებმაც ხმა ამოიდეს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რაც მოგვიანებით დაუფარავად, საჯაროდ გაახმოვანა თვით თურქეთის საგარეო მინისტრმა. ნურავინ მიწყენს და ამისთანა სამშობლოსა და ერისთვის გულანთებული ნაღდ ქართველად დაბადებული პიროვნების პოლიტიკიდან გვერდზე გაწევა და მათი ვერ შექმნევა, რაღაც არა მგონია, ქართული საქმის კეთებად იკითხებოდეს.

ბატონო ბიძინა, თქვენსკენ იმედის თვალთ მომზარალი “ქართული ოცნებისა” და სამშობლოს დასაცავად შემართული უერთგულესი მამულიშვილების უდიდესი ნაწილის, დღეს კი უკვე ვაჭილებული, იმედგაცრუებული, ნაციონალების საქმი-ლიკოდ და დასაცინად ქცეული ელექტორატის “ოცნებისკენ” მობრუნება არა მგონია შესაძლებელი იყოს, რადგან კიდევ ერთხელ მოტყუებული და იმედგაცრუებული ხალხი ემსგავსება მშრალ ქვიშას, რომელსაც ხელს წაატან თუ არა, თითებ-სშუა გაავიძვრება უთუოდ. არადა, ყველას აინტერესებს, ამ დამნაშავე კასტამ როდემდე ისარგებლოს ბოროტად ქართველი ერის მოთმინებით? აკი ქართველი კაცისთვის ოდიგან გახლდათ ცნობილი, რომ აქლემის კუში, ძაღლის კუდი, და ღრინაკლის ბრწყალი ძხორციელს ჯერ არ გაუწვრვებია.

ამდენად, კარს მომდგარ არჩევნებში ერთხელ კიდევ თუ მოხდა “სასწაული” და “ნაციონალები” მეორე ადგილზე გავიდნენ, ეს იქნება ქართული ოცნებისთვის არა შემთხვევითი, არამედ წინასწარ გათვლილი პარაკირი და ამავე დროს ლუსტრაცია იმისა, რასაც ვინცოერი ქართველი ყოველთვის ეკვიანობდა, რომ “ქართული ოცნების”, “ნაციონალების”, “რესპუბლიკების”, “თავისუფალი დემოკრატიის”, “ძალზე მორცხვი” და მართული პარლამენტისა და ჩვენი “სანაქებო” დასავლელი ე. წ. “მეგობრების” მიერ ურთიერთშეთანხმებით გაყიდულია ჩვენი სამშობლო. ეს გახლავთ სრული ჭეშმარიტება და აქ გამოწკლისი არ არსებობს, რადგან თვით ჭეშმარიტება არ უშეგებს რაიმე თვითმკაცის შესაძლებლობას. ვინაიდან ქართველი ერი დიდი ხანია გამოვიდა სადათას ძილიდან, ცხადია, ის არ წარმოადგენს ბრბოს და ეს ქვეყანაც ნაღდად არ გახლავთ ჩალით ან თურქეთიდან ჩამოტრანილი აეროპორტზე დაფარებული თურქეთი გადახურული, რომ ვერ მიხვდეს თუ საით მიაქანებენ ქვეყანას.

ადვილი მოსალოდნელია, რომ არაერთი დალატითა და უსამართლობით გატან-ჯული, ადვარცოვებული ხალხი ვერაფრით შეაჩეროს. მაშინ, მასაში დაავებულ ბოღმა და რისხვა მიმართული იქნება არა იმდენად ნაცებისა და ხელისუფლებისაკენ, რამდენადაც თქვენსკენ. რამეთუ, თქვენ გენდოთ ხალხი, თქვენ მიგინიათ ერმა მსხვერვად და ჭირისუფლად, თქვენ გაგი-წინამდგრაო წინ და არა ურეტიგო, და გაუგებარი ორიენტაციის მატარებელი და აბსოლუტურად ერთგული გონობებისაგან დაცლილი “რესპუბლიკელები” კისაც ხალხის უკითხავად “შეავლეთ” ქვეყანა სამართავად. ამიოვად, მიგვანია, რომ თქვენ ვერ უმშობლეთ ქართველებს, ვერ გაუწიეთ ისეთი მამობა რომელსაც ელოდა თქვენგან ერი.

სავსებით გულსატკეპია, რომ ის დეწლი, რაც თქვენ გაიდეთ ჩვენი ქვეყნისათვის, ის აურაცხელი თანადგომა ათი ათასობით თქვენი ქართველი თანასისხლიერის მიმართ, თქვენს მიერ გაწეული მრავალი გახმაურებული თუ გაუხმაურებული ქველ-მოქმედება, რომლის ანალოგიც კი იშვიათია ხოლმე, და ყველაზე უფრო ის სასწაული, რაც თქვენ მოახდინეთ ერისა და ქვეყნის გამყიდველი სააკაშვილის მოცილებით, გაფერმკრთალდება, მინავლდება, და “დრო” თან წაიღებს როგორც არავგმა წაიღო ბაში-აწუკის დამხვრნალი ცხენი, ხოლო ქვეყანაში მიმდინარე პროცესები როგორც ამქამად არის ისე თუ გაგრძელდა, რაღაც არა მგონია ხელისუფლების მიერ უმოქმედობით გატარებული ყოველი დღე რაიმე სახვალთ შეღავათის მომტანი იყოს ჩვენი ქვეყნისათვის.

(გაგრძელება მე-9 გვერდზე)

# კოლემიკა ფრიად აქტუალურ საკითხებზე

**ძვირფასო მკითხველო, ბატონ ედვინ იზორიას ნაშრომზე – “გეოგრაფიული თეორია” მიძღვნილი ზოგადკაცობრივ პირობებზე – მეტყველებისა და აზროვნების ჩასახვა, წარმოქმნა-განვითარება მიღებული აქვს რეცენზიები ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგია-ბიოლოგიის ინსტიტუტებიდან, რომელსაც ხელს აწერს ცხრა დოქტორი – მეცნიერების აღიარებული მოღვაწეები. ამ რეცენზიებზე საპასუხო წერილები დაიბეჭდა გაზეთ “ილორის” 261, 262, 263, 264, 265 ნომრებში, სადაც ავტორი მიუთითებს რეცენზიების ტენდენციურობაზე, ზოგიერთ ხარვეზებზე და არაობიექტურობაზე. ამავე საკითხს მიუძღვნა ავტორმა ახალი ნაშრომი “კოლემიკა”, რომელსაც მკითხველს დიდი სიამოვნებით ვთავაზობთ.**

ფილოსოფოსი – მეტყველების გენეზისის ალგორითმი, პირველ საფეხურად, გულისხმობს კითხვას მის წარმოქმნა-დაბობაზე: იქნებ იგი არც წარმოქმნილა? საინტერესოა, ავტორის ერთი ფრაზა: **“ჰინტ ევოლუციას უარყოფს დემონსტრაციისთვის”**. ე. ი. ღმერთი, ავტორის აზრით, არამარტო ირავალურშია, არამედ რეალურშიც და პირველ რიგში – კანონზომიერებებში და იმპულსებში. აქსიომა, რომ მეტყველება თვისობრივად და რაოდენობრივად ცვლადი (მზარდი) ფენომენია, ამიტომ ალგორითმის პირველ საფეხურად უნდა დადგინდეს რომ იგი, ყოველ მიხეზს-გარეშე, წარმოქმნილია.

ბიოლოგი – მეტყველება აქსიომატური ევოლუციური ფენომენია. შედეგის წვდომა ალგორითმის ამ მეორე საფეხურის გარკვევაშია.

ენათმეცნიერი – ბატონებო, მიუხედავად, თქვენს მიერ დასახელებული, ორი აქსიომისა, უნდა გაუწყოთ: ალგორითმის მეორე საფეხურს, ვერანაირად, ვერ გადავხატებთ: ავტორი, მეტყველების ჩასახვის საფუძვლად, ხომ წოვა-ყლაპვის ხმანობებს ასახელებს. მაგრამ რატომ **“მინიცადამინიც”** ადამიანის წინაპარს განუვითარდა მეტყველება? სხვა ძუძუმწოვრები, რა, ძუძუს არ წოვენ? თუ შეგრძნებთა სიმახვილით ჩამორჩებიან ადამიანის წინაპარს?

ფიზიოლოგი – ფიზიოლოგიურ ასპექტში ეს კითხვა ასე დაისმის: რატომ ადამიანის წინაპარს განუვითარდა მეორე სასიგნალო სისტემა, მის მეტყველებით ატრიბუტთან უწყვეტ მთლიანობაში?

ავტორი – ამ კითხვაზე არის პასუხი. უფრო სწორედ ეს პასუხი ამ კითხვაზე ავტორისეული პასუხისმიერების მოხსნაა, რამეთუ იგი მსოფლიო მეცნიერებას აქვს თავისთავაზე აღებული და მდგომარეობს,

ამ უკანასკნელის მიერ დადგენილ პოლინიდის თავის ტვინის მაღალ განვითარებაში. ეს ერთი, მეორეც: ეს კითხვა, შეიძლება ითქვას, თავისთავაზე პასუხს გულისხმობს. აი, რატომ: ყოველ სახეობას ონტოგენეზში ჰყავს წინაპარი ფილოგენეზში. სხვა სახეობას რომ ჰქონებოდა მეტყველება, უნდა დაგვეწყო ძიება ფილოგენეზში მისი ევოლუციისა. ფაქტი სახეზეა: მხოლოდ ადამიანია მეტყველი, მ. ე. სწორედ მის წინაპარს – ჰომინიდს განუვითარდა მეტყველება და ალგორითმის ეს მესამე საფეხურიც აქსიომატურია ანუ აბსოლუტური ჭეშმარიტებაა.

ფილოსოფოსი – მაშასადამე კითხვა რატომ მოხსნილია და რჩება როგორ?

ფიზიოლოგი – დიახ, სწორედ ამ კითხვას პასუხობს ნაშრომი. ხოლო რომ ვუპასუხოთ კითხვას როგორ? არანაკლებ მნიშვნელობისაა მეორეც აქსიომა: მეტყველებას გააჩნია პირობითი რეფლექსური ბუნება.

ბიოლოგი – იგივე რანგისაა მესუთე აქსიომა: მეტყველებას ქმნის მეტყველი გარემო.

ენათმეცნიერი – ფუნდამენტური ის ფაქტი (მეექვსე) აქსიომა გახლავთ, რომ მეტყველების ორგანიზმს ენა, ამიტომ ეწოდება მსოფლიოში ყოველ ლექსიკო-გრამატიკულ სისტემას – ენა. ეს უკანასკნელი ფაქტიც მრავალსმეტყველია: პრობლემას უნდა ენის ბიოგრაფიაში ვწვდეთ.

ფიზიოლოგი – სწორია. ამიტომ ამ მეექვსე ფუნდამენტურ აქსიომაშიც უმნიშვნელოვანესი მეშვიდე აქსიომატური კვლია: უშუალოდ კვების ორგანიზმ – ენამ შეითავსა სამეტყველო ფუნქცია. პრობლემა იმაშია თუ როგორ შეიძლოს მან ეს.

ენათმეცნიერი – ავტორის აზრით, მას პრობლემა ამ შეიძლება ფუნდამენტურ აქსიომაზე დაყრდნობით და, ძირითადად, ჩვენი წარმოდგენილ, მეცნიერებათა ასპექტებში აქვს გადაჭრილი. მაგრამ, უმთავრესად – ენათმეცნიერულში, რაც გახსნა: თავად პრობლემა ხომ – ენის, მეტყველების ჩასახვა და წარმოქმნა-განვითარებაა.

მათემატიკოსი – ვერ დაგეთანხმებით: გარდა ენათმეცნიერება, ფიზიოლოგია და ბიოლოგიისა დიდმნიშვნელოვანია მეცნიერების სხვა დარგებიც: ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ანტროპოლოგია, არქეოლოგია, ისტორია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა მათემატიკიდან ალბათობის თეორიის მოხმობა, რაც, რა თქმა უნდა, უნიკალური შემთხვევაა. თუნდაც ერთი რომელიმე გამოკვლევაში პრობლემა ვერ გადაწყვეტილია. როგორცა ჩანს, კომპლექსურად მოგვიწევს ჩვენი ძალების ერთ სურათი მიხანში მობილიზება.

ფიზიოლოგი – ავტორისეული სიახლე: **“მეტყველება პირობითი რეფლექსია (მერვე აქსიომა), ამიტომ ჯერ არს ჩასახვა, წარმოქმნა და განვითარებაც რომ მასვე დაუკავშირდეს”** აქსიომატური თუ არაა

(ავტორის აზრით კი სწორედ რომ აქსიომატურია), მისი გათვალისწინება მაინცაა უპრიანი.

ფილოსოფოსი – თუ აქამდე მეტყველებას არ უკავშირებდნენ იმას, რაც თავადაა და ასე სურდათ მისი ჩასახვის ამოხსნა, მაშ, გამოდის აქამომდე მსოფლიო მეცნიერება ხელს ყოფდა იმ გუბურაში სადაც თვეხი არც იყო. რაც შეეხება ლოგიკას, იგი უფრო იმაშია ანუ უფრო აქსიომატური ის გახლავთ, რომ რაკი, როგორც შემოთავაზებთ, ენათა რაოდენობა თუ ენობრივი მონაცემები განუწყვეტლოდ იზრდება, უნდა ვიგულისხმოთ რაღაც უმცირესი მინიმუმი საწყისისა, რომლის მიგნება უდაოდ, განმაცვიფრებელი და უდიდესი სიახლე (მე-9 აქსიომა) გახლავთ.

ავტორი – ფაქტს მასხედ, რომ აქამომდე მსოფლიო მეცნიერება ხელს ყოფდა იმ გუბურაში სადაც თვეხი არც იყო, მთავარია, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ, დამატებით, იგი იჭრება არა იმ ოქროს თვეხს, რომელსაც პირში ზურმუხტი ეკავა: მსკდველობაშია ქართვ. ენები, განსაკუთრებით – მეგრული ანუ ახალკოლხური, რადგან, ჯერ-ერთი, მსოფლიო ენებიდან ყველაზე მეტად, სწორედ ამ უკანასკნელმა შეინარჩუნა უპირველესი ამოსავალი მდგომარეობა და, მეორე, მეცნიერებაში, დასაბამისმიერების თვალსაზრისით, თუ ქართული ენა, ასე თუ ისე, შესწავლილია, მეგრული, ამ კუთხით, აქამდე სრულიად terra inkognita-ა.

ენათმეცნიერი – იმაში კი, რომ მეტყველება ემპირიული მონაცემებით – ბევრებით ხორციელდება პროცესია, არაფერია სიახლე.

ანთროპოლოგი – ბატონო ენათმეცნიერო, თქვენ უკვე მათე ფუნდამენტური აქსიომა დასახელებული: როგორცა ჩანს, აქსიომატური ვივირეობა. ხაზგასასმელია ავტორისეული სიახლე, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: **“ცხოველებს გააჩნიათ ბევრითი სიგნალები გამოხატველი ემოციისა თუ ორგანიზმის მდგომარეობისა”**, და ემოციად ცოდნული **“ნატურალური მდგომარეობისა”** – ევრეთწოდებული – **“ცხოველებისეული ხმანობები”**, რომელიც მეცნიერების მიერ უკვე დასახელებული არიან მეტყველების წარმოქმნის შესაძლო საფუძვლად, ოღონდ ამის დამატებელი არავითარი საკმარი ფაქტები არსებობენ, განსხვავებით ავტორისაგან, რომელიც მის მიერვე მიგნებულ სპეციფიურ ბევრებს განიხილავს პირობითი და უპირობო რეფლექსებზე პავლოვის მოძღვრების ასპექტში.

ფიზიოლოგი – მთავარი ავტორისეული სიახლე გახლავთ ის რომ ბევრების გამოშვებულ უზიარებელ – წოვა-ყლაპვის უპირობო რეფლექსების გამდიდრებას შეუძლებელია ისინი (წ და ყ) არ შეუძლებოდნენ, როგორც კვებითი პირობითი რეფლექსების გამოშვებუნი. ისეთების როგორიცაა კუჭში – წველის, პირის ღრუში

– ნერწყვის გამოყოფა და ა. შ. დასახელებულ ბევრებზე და მათ მიერ გამოწვეულ პირობითი რეფლექსების გამო ორგანიზმში მიმდინარე ექსტრა თუ ინტრაბიოლოგიური პროცესების (ბიოლოგიური თუ ბიოქიმიური ცვლილებების) ინფორმაციები **“თავის ტვინის მკაფიოდ და კონკრეტულად დადგენილ უბნებში ჩაბეჭდნენ და იქ ინახებიან”**: **“...ადგილი აქვს სუსტი სინფსების გარდაქმნას ძლიერად... თავის ტვინის ქერქს კი სრულიად უპყრია ხელთ ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებათა მართვის სათავეები”**

ანტროპოლოგი – ბატონო ფიზიოლოგი, სინაფსებზე და იმპრიტინგზე თქვენ ბრძანეთ: **“...აქ მიმდინარე პროცესების მოლეკულური მექანიზმების განხილვას აზრი არა აქვს”**-ო. ავტორიც იგივე მოსახრებისაა. (იხ. დამატება – **“გოცანტრული მეტყველება”**) თუ აუცილებლობა არ მოითხოვს, აღნიშნულისამებრ ვიმოქმედოთ და ნუ დაკონკრეტდებით.

ფიზიოლოგი – გეთანხმებით. რაც შეეხება სიახლეებს, დიახაც სიახლეა ის რომ ავტორმა დასახელება მეტყველების ჩასახვის ოთხუნობიანი გამოცანა, რომელშიც მხოლოდ ერთი – მეტყველება პირობითი რეფლექსია რომაა არის ცნობილი, დანარჩენი სამი კი უცნობია. ესენია: 1. მოვლენა და მისი უპირობო რეფლექსები; 2. უპირობო გამდიდრება ამ უპირობო რეფლექსებისა; 3. პირობითი გამდიდრება იმავე უპირობო რეფლექსებისა. მთავარი ისაა, რომ ავტორმა ამოხსნა კიდევაც ეს ამოცანა, ცნობილი გახდა რა სამივე უცნობი. შესაბამისად, ესენია: 1. წოვა-ყლაპვის უპირობო რეფლექსები; 2. უპირობო გამდიდრება ამ უპირობო რეფლექსებისა; ამ უპირობო გამდიდრებელთა შემცველი პირობითი გამდიდრებლები – წოვა-ყლაპვის წ-წ-და ყ-ყ- სხიანობები.

მათემატიკოსი – ეს გახლავთ ალგორითმის ბოლო საფეხური?

ავტორი – დიახ. სამედიცინო პრაქტიკაში (ავტორს მედიცინაში სამი სპეციალობა გააჩნია: თერაპევტი, რენდგენოლოგი, ენდოკოპოსტი) დაავადებათა დიაგნოსტიკა, უზომოდ აღსაქმურად ალგორითმზეა ბაზირებული. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილი იქნა დაავადებისთვის დამახასიათებელი ერთადერთი – პათოგენური სიმპტომი, დიაგნოზი მაშინვე, ყოველგვარი სხვა გამოკვლევისა და ალგორითმის გარეშე, იხმება.

ბატონებო, ფიზიოლოგმა აქვე დასახელება, ავტორის მიერ მიკვლეული, მეტყველების ჩასახვის მექანიზმის ის ერთადერთი – მონოგენომური სიმტომოკომპლექსი (სინდრომი), რომელიც იძლევა ამომწურავ ახსნადას ამ მექანიზმისა და გამორიცხავს სხვა კვლევისა და ალგორითმის საჭიროებას.

(გაგრძელება იქნება)

## ნატოს შემდგომ საქართველოს ევროკავშირის წევრობაზე უთხრეს უარი!

თბილისის ათწლიან მცდელობას, ევროკავშირს მიტანსნოდა, ფაქტობრივად, ხაზი გადაესვა. ბრიუსელმა დიად პირველად აღიარა, რომ ამ მზიური რესპუბლიკის ევროკავშირში მიღება შეუძლებელია. სანაცვლოდ ქართველებს მხოლოდ ასოცირების შეთანხმებაზე ხელის მოწერა შესთავაზეს. ექსპერტებს მაინც, რომ ახლა საქართველოს ხელს ისტორიაში საკუთარი ადგილის ხელახლა გააზრება და რუსეთისკენ ნაბიჯის გადადგმა მოუწევს.

ოთხშაბათს ბრიუსელში ევროკომისიის პრეზიდენტმა კოხე მანუელ ბაროზუმ და ევროკავშირის სხვა ლიდერებმა საქართველოს დელეგაცია მიიღეს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით. და თუმცა სტუმრებმა საბოლოოდ დამატებით 19 მლნ ევრო მიიღეს **“რეფორმებისთვის”**, ყველაფერს უღრუბლოდ არ ჩაუვლია.

**“საქართველო ევროკავშირში ვერ შევა, ეს შეუძლებელია, – აღიარა ბაროზუმი, – მაგრამ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საქართველო ევროკავშირს მიეუახლოვოთ, მის ახალგაზრდობას ევროპელებთან უფრო ფართო კონტაქტების შესაძლებლობა მივცეთ. ამაზეა მიმართული ასოცირების შესახებ შეთანხმება”**.

როგორც გაზეთ **“ეზგლიადს”** სოციალურ-პოლიტიკური კვლევის ცენტრ **“ასპექტის”** დირექტორმა გიორგი ფილოდროვმა განუცხადა, ბაროზუს ეს უარი უზარმაზარი პოლი-

ტიკური დარტყმა იყო ქართველებისთვის, რომლებიც ევროკავშირზე ოცნებობდნენ. **“მასსოვს, სააკაშვილი ევროპული კავშირის დროშის ფონზე პოზირებდა კიდევ და თავის მოქალაქეებს ატყუებდა – ევროპას ძალიან ვჭირდებათ, ამიტომ აუცილებლად გავხდებით ევროკავშირის წევრები. ის, რაც ბრიუსელში მოხდა, კარგი გამოცხიზლება იყო საქართველოსთვის, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ ევროპას ის არასოდეს სჭირდებოდა და არც დასჭირდება, ისევე, როგორც უკრაინა”**, – თქვა ფილოდროვმა.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ ახლა საქართველოს ხელს ისტორიაში საკუთარი ადგილის ხელახლა გააზრება და რუსეთისკენ ნაბიჯის გადადგმა მოუწევს, რადგან ევროკავშირს ახალი წევრების გარეშეც უამრავი პრობლემა აქვს.

ფილოდროვის აზრს ლსი-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვლადიმერ ჟარხინიც ეთანხმება: **“ევროკავშირში საქართველოს ადგილი არასოდეს ყოფილა. ის, რომ ევროკავშირმა ისინი უკან გამოაბრუნა – ფაქტის კონსტატაციაა. ევროკავშირს არასდროს უთქვამს, რომ საქართველოსთვის ამ ორგანიზაციაში ადგილი არის. ეს, რა თქმა უნდა, საქართველოსთვის საწყენია, მაგრამ მათ მხოლოდ ასოციაციას დაჰპირდნენ და არა ევროკავშირის წევრობას. ამიტომ გასაკვირი არაფერია, ყველაფერი დინებას მიჰყვება”**, – განუმარტა ექსპერტმა გაზეთ **“ეზგლიადს”**.

საინტერესოა, რომ ქართული ელიტა ნატოსაც და ევროკავშირსაც განიხილავს, როგორც **“ქოლგას რუსეთისგან თავის დასაცავად”**. და საგულისხმოა – ბაროზუმ განაცხადა, რომ პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი დაჰპირდა, არანაირი დაბრკობა არ შეექმნა თბილისის მიერ შეთანხმების ხელმოწერისთვის. ევროკომისიის ხელმძღვანელის თქმით, რუსეთის ლიდერმა მას პირადად მისცა ამისი გარანტია. თავის მხრივ, ევროკომისიისარმა შტეფან ფულემ დაამოწმა, რომ შეთანხმება **“რუსეთზე და მის საგაზრო ინტერესებზე არანაირ გავლენას არ მოახდენს”**.

### საქინფორმი

გაზეთ **“ილორის”** მთავარი რედაქტორის კომენტარი:

ვერა და ვერ დარწმუნდა საქართველოს ყოფილი თუ ახლანდელი ხელისუფლება, რომ არაფრად გჭირდებით არც ევროკავშირს და არც ნატოს და მინც, გამწარებული მათხოფრის მონდომებით ვუტალახიანებთ მათ კარს. არც ის გავაწუხებს, რომ ევროკავშირში ამ მათე-დამი ჩვენს ჯიუტ სწრაფვას საკმაოდ ნიჰილისტურად განიხილავენ და ცინიკური ეპითეტებით გვაპოზენ. არ უნდა გავგიჟოვდეს, რადგან მოხალადე მათხოფარი არავის ეპიზნავება და ყოველი მეთოლით ცდილობენ მისი თავიდან მოშორებას.

რაც გვითხრეს, ყველაფერი გავაკეთეთ: ანტიდისკრიმინაციული კანონი მოგვადებინეს ერის ნების წინააღმდეგ, ლამისაა პედ-

ერასტების ძეგლები დაგვადგმევიონ ქალაქის ცენტრში, მაგრამ მაინც არ გვიღებენ ევროკავშირში! ჩვენ კი მაინც “ვეტენებით”! ახალგაზრდობაში, თუ ჩვენს სამეგობროში ვინმე დაუპატიებლად შემოყოფდა თავს და დამეკიდრებას შეეცდებოდა, ჩვენ მას **“შემოტევილს”** ვეძახდით და დაურიდებლად გავგრძობინებდით ხოლმე, რომ იგი ჩვენთვის სრულიად ზედმეტი იყო. თავმოყვარე ადამიანი წამსვე გაგვშორდებოდა, უთამოყვარეს მოცილვებ კი საკმაოდ გეგვირდა ხოლმე.

მე და ჩემი მეუღლე 46 წელია გვერდიგვერდ მოვდივართ – შეილებიც გვყავს, შეილისშვილებიც და შეილისშვილისშვილებიც, მაგრამ ჩემმა მეუღლემ რომ მითხრას, შენთან ყოფნა აღარ მინდა და ოჯახში ზედმეტი ხარო, სიტყვის შეუბრუნებლად დავტოვებ სახლს. ზუსტად ასე მოიტყვევა ყველა თამოყვარე ადამიანი.

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ცხ-ოველს ინსტიტუტების გარდა გარკვეული ემოციებიც გააჩნია. მაგალითად, ძაღლს შეიძლება ეწყინოს პატრონის ადგილები დამოკიდებულება და გაიბუტოს. ყველა კი თამოყვარების ფსიქოლოგიური პროდუქტი გახლავთ. ჩვენ კი არა არ შეგვიტოვდა თამოყვარების ძარღვი, არად ვაგვდებთ ევროკავშირისა და ნატოს მესვეურების ადგილზე დამოკიდებულებას და მაინც ენერგიულად **“ვეტენებით”** იქ, სადაც არავის ვუწივართ.

გაი, სირცხვილო?!  
როლანდ ჯალაღანიკა, ჟურნალისტი

**უპირველეს რენესანსს, ანუ აღორბინებას ურითმავენ: რენე სვამს, მალე ჩაეძინება სუფრასთან და მელოტ თავს მაგიდაზე ჩამოდებს... რენეს უნდა შელოცვა, რადგან ცხადშიც აბოდებს. ახირებულ აზრებს და მემამოხე ლექსებს... რენე ისევ „აღხედა“, ჰადგეს საკვანსებს. დასკვნა: რენეს სიმთვრალე რენესგამის პრალია. რენეც წავა იქ მალე, რადგან ბევრი დალა...“**

რენე კალანდიას პოეზია მრავალფეროვანია. ის ხშირად არღვევდა შეგნებულად ტრადიციული ლექსების ჩარჩოებს, არ მორჩილებდა დადგენილ ნორმებსა და წესებს, მაგრამ ქმნიდა ახალს, მისი სულის, მისი სათქმელის წარმოსახენდა.

რენე კალანდიას შემოქმედება ჯერაც შეუსწავლელია. იგი ახლახან წავიდა ამ ქვეყნიდან და ქვეყანას დაუტოვა შესანიშნავი პოეტური კრებულები, რაც უთუოდ დაიმკიდრებს ღირსეულ ადგილს ქართულ პოეზიაში.

ჩვენ გწუხვართ და თანაგრძნობას ვუცხადებთ რენეს შესანიშნავ ოჯახს მეუღლისა და მამის გარდაცვალების გამო. განსაკუთრებით ვინდა აღვნიშნოთ მისი მეუღლის დალი ვაფინიავას ამაგი, რომელიც განუწყვეტლივ უთევდა დამეებს ბოლო ორი წლის განმავლობაში ლოგინად ჩაგარდნილ მეუღლეს და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ სიკვდილის ბრწყინვალეობისგან გამოეხსნა იგი, მაგრამ ვაგლას, რომ ეს ვერ შეძლო და გულდაწყვეტილი დარჩა. უფალმა გაანათლოს რენე კალანდია. მან ძვირფასი სულიერი მემკვიდრეობა დაუტოვა მომავალ თაობებს. დე. მარადიულ სასუფეველში განისვენოს მისმა დაღლილმა სულმა.

გიორგი სიჭინავა



# სამეგრელოს ღირსეული შვილები



ოთარ ღადიანის ნაირი, ავსტრიის ფრონტიდან გამომგზავნილი მეუღლისადმი

მამაჩემი გარდაიცვალა 1903 წლის 19 მარტს, დაბა ზუგდიდში, ანთებისაგან. უკანასკნელი მისი სიტყვა განგებისადმი იყო შემდეგი: „ღმერთო, გვედრე, იხსენ მონობისაგან საქართველო, აკმარე მას სატანჯველი!..“ ამ სიტყვებს სული ამოაყოლა. თან წაიღო საქართველოსადმი უსაზღვრო სიყვარული, რომელიც მან შეიღებეს გვიანდერძა და მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

დამავინცდა ერთი უბედური შემთხვევა, მამიჩემის სიცოცხლეში მომხდარი. 1901 წლის 21 ივლისს ჩვენს ეზოში, უკან, ტყეში მოკლეს ციმბირიდან გამოქცეული გიდი და-თას ძე ემუხვარი, მამიჩემის ნათლული. მან შეტაკების დროს მოჰკლა ორი უფროსი ურიადნიკი — კონია გოგოლიშვილი და ბეჟან ბერიძე, ორიც დასჭრა. ჩვენ არცერთი სახლში არ ვიყავით მთელი ათი დღის განმავლობაში, მაგრამ მაინც ხელი მოგვიკიდეს და რვა აგვისტოს დაგვიბარეს ზუგდიდში, სადაც გამოძიებულმა დაგვიჭირა ორნივე. დავყავით ციხეში 4-5 თვე. გამოგვიშვეს თავდებით. თუმცა საოლქო სასამართლომ მამაჩემს მიუსაჯა 6 წლის კატორღა. ჩემი საქმე გამოძიებულმა მოსპო ადრევე, მაგრამ სამოსამართლო პალატამ კი გაამართლა მამაჩემი. იცავდა ცნობილი იურისტი ოპოჩინინი. ქუთაისის საპრობილეში ყოფნის დროს მამაჩემმა დასწერა მშვენიერი ლექსი „გამაგრდი, გულო“. დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“.

ამ ხანებში, 1901 წელს, ციხეში ისხდნენ პოლიტიკური პატიმრები: ნოე ჟორდანიას, რაჟდენ კალაძე და ნესტორ ხორგუანი. მათ არავის ახლო არ აკარებდნენ. კარის ფანჯა-

რა აჭედლილი ჰქონდათ. სეირნობის დროს მამაჩემმა ნოეს მიმართა მამია გურიელის ლექსით „ეგებ, კეთილო, ბედს არ უყვარდე, მოგიკლა გული, გყო სევდიანი, ნუ დაეცემი, დასდევ, გამაგრდი, გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი“. რაზედაც ნოემ მამიას ლექსითვე უპასუხა: „ცხოვრების ნიშნად სიმართლე ვეკონდეს და სიყვარული მომძმეთა ვალად, სამშობლო ჩვენი მარად გვახსოვდეს, თუკი გვსურს გავხდეთ ადამიანი“. „ჩემი სიკვდილი როგორ არ არის“, იტყოდა მამაჩემი, „რომ ესენი პოლიტიკური ტუსალები არიან, მე კი სისხლის სამართლის დამნაშაველი!“ ძლიერ სწუხდა ამაზე მამაჩემი. როდესაც ახლა ვაკვირდები, ჩვენი მესამე დასვლების მოღვაწეობას და თვითონ ნოე ჟორდანიას ნაწერებს 1918 წლამდე, მივირს თუ რა ჰქონდათ მათ საერთო მამიას ამ ლექსთან. ჟორდანიას და მისი მიმდევრები ეროვნულ იდეებს აძევებდნენ ქართველი მუშათა კლასის არსებიდან. თვითონ და მისი ამხანაგებით მხოლოდ და მხოლოდ რ.ს.დ.მ. პარტიის სახელით ამოცობდნენ და ჩვენ, სოციალ-ფედერალისტები, გვანამეს საქართველოს ავტონომიის დაცვისათვის; რა ჰქონდათ საერთო სამშობლოსთან, საქართველოსთან?! შემდეგი მათი მოღვაწეობა 1898 წლიდან რა იყო, ყველამ იცის, ან დღეს რა არის. ამაზე ვწუხდები. დაე, რევოლუციის ისტორიამ და მისმა მემკვიდრემ გაასამართლოს ისინი.

1903 წელს მოკვდა მამაჩემი და მისმა

პრესაში ვერას ვიტყვოდი და ისე კი, ყველა ის ამხანაგი, რომელსაც უშუაგონია ჩემთან, დადასტურებს იმ ჩემს აზრს. დადგა 1904 წელი. იაპონიის ომმა და რუსეთის ჯარის დამარცხებამ გააშთქალა და დაგვანახა ის, რასაც აქამდის ცოტანი ხედავდნენ. 17 ოქტომბრის მანიფესტმა ცხადყო მთავრობის უძღურება და ის პატარა საკენი, რომლის საშუალებით რუსეთის მთავრობა ცდილობდა მოეტყუებინა მშრომელი მასა, დაჩაგრული ერები. დარბევამ ტფილისში ხომ სრულად გამოაშკარავა მთავრობის ოინბაზობა. მეც შეძლებისდაგვარად ჩავდექი მათ რიგებში, რომელთაც მიზნად დაისახეს მთავრობის ჩამოგდება. მოკლედ ვიტყვი: მთელი ჩემის არსებით ვიბრძოდი ამ ნიადაგზე, სხვებთან ერთად განვითარდეთ ზუგდიდის ადგილობრივი ადმინისტრაცია, მოვანყვე რაზმი და სპირიდონ კედი, მელიტონ გოგუნი და ვასო ალშიბაიასთან ერთად ადგილობრივ სოციალ-ფედერალისტურ ორგანიზაციასთან შევასრულე ყოველივე ვალდებულება, რომელსაც მიზნად ისახავდა ადგილობრივი ორგანიზაცია და ჩვენი პარტია. გადმოვიხედე შევიცარიის თოფები, ისორთ-გუდავას შუა. იარაღი საზღვარგარეთიდან გამოგზავნა ფინეთის გემით ჩვენმა პარტიამ. ერთი სიტყვით, მივიღე აქტიური მონაწილეობა. მაგრამ 1906 წლის 9 იანვარს ტფილისს ქუთაისიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა მოგვიტანეს ამბავი რუსეთში რეაქციის გამარჯვებისა, რომელმაც

თათბირი ჩემსას, სოფელ ჭკადუაში თუ რა გვექნა (ვასილი, ეპიფანე, ია ალშიბაიები, ნესტორ შეროზია, სპირიდონ კედი, მე, დალუ კვიციანი, სტეფანე ეგუტია და ისაკი კვარაცხელია) დავერჩით მარტონი. ავიღეთ იარაღი, შევეფიცეთ ურთიერთს და გავუდექით გზას. არ ვიცი, რა მიზეზით, 29 იანვარს არ მოვიდა დაუვინყარი ადამიანი ვასილ ალშიბაია, რომელიც უნდა მოსულიყო ყარაბაზს ჩაჩიბაიასას, ჩვენ ხუთნი, გათენებისას, შევუდექით ენგურის ხეობით სვანეთის გზას, შევენიხეთ იმ სვანეთის მთებს, რომელსაც 1830 წელს მიენდო ბაბუაჩემი გიორგი, დევნილი რუსის მთავრობისაგან. სოფელ ჯვართან, გზაზე, გუბანს რომ ეძახიან, დაგვედევნა „ყაძახი რუსები“. ვერ დაგვენიხნენ. ცოტა არ იყოს, საშინო გახლდათ მათთვის ამ ვინრო ხეობაში ჩვენი დევნა. იქ ჩვენ შეგვეძლო სულ ადვილად დაგვემარცხებინა თუნდ ერთი ბატალიონი. გაჯავრებულმა ჯარმა დასწავა რამოდენიმე მოსახლე ჯვარში და უთუთი გოგინავს დუქანი, სადაც ჩვენ სამგზავრო პური ვიყიდეთ. 2006 წლის 2 თებერვალს ჩავედით სოფელ ბეროში. აქ დაგვხვდნენ განდობილები — გიგა ჯუღელი, სერაფიმო ყიფშიძე, იაკობ გუჯეჯიანი, მოსოსტრი დადუქელიანი, გამოქცეულები ქუთაისიდან. 13 მარტამდის დავყავით სვანეთში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, რომელზეც არ მინდა ვილაპარაკო, გადავწყვიტეთ ალანეთში (ყარაჩაში) გადასვლა. თუმცა ყველა გვიშლიდა, მაგრამ 1906 წლის 13 მარტს ჩვენ მაინც წავედით. სვანი ღალუ კვიციანი, გაგზავნილი ჩემგან დალში ამბების გასაგებად, ვინაიდან სვანეთში მონყვეტილია ზამთარში თითქმის მუზობელ მარტებსაც, იქ დარჩა. კვარაცხელია და ეგუტია სამეგრელოში გაგვეპარნენ. დავრჩით მე და სპირიდონი მარტოდმარტონი. გული გავიტყდა ამხანაგებზე და ვფიქრობდით: ნუთუ ასოც ვაჟაკში არავინ დარჩა ჩვენთან, სულ არავინ? ძლიერ დავვალონა ამ გარემოებამ... მაგრამ ამაზე არ ღირს ლაპარაკი. ჩვენთან ერთად უნდა წამოსულიყვნენ ყარაჩაში გიგა და სვეტიანო, მაგრამ გზაზე მათ რამდენიმე სვანი ხული-განი დადევნებოდათ და ისინიც აგვიდნენ. ასე გათავდა ჩვენი ყოფა სვანეთში. თუ არ დავივინყებ იმ კრებას, რომელიც გვეკონდა სოფელ მულახში, კორნელი ჯუღელის ბინაზე, მისივე თავმჯდომარეობით. კრებას ვესწრებოდით: გიგა ჯუღელი, სვეტიანო ყიფშიძე, იაკობ გუჯეჯიანი, სპირიდონ კედი, ვარლამ გელოვანი, მიტო დადუქელიანი, ნესტორ ჟორჯოლიანი და მე. გადავწყვიტეთ ფარული მუშაობა და გაგრძელება იმ გზისა, რომელზეც ვივლიდით. ეს იყო მარტის 5-7 რიცხვები. სოფელ ბეროდან 13 მარტს მე და სპირიდონი ავღბარგეთ ყარაჩაში ჩასასვლელად. ბიძაჩემმა, ბექირბეიმ, მომცა რკინის იარაღი, ნიშანები, ლაბაშა, რომელსაც გვერდზე ჰქონდა გაკეთებული კარგა მოზრდილი ბასრი რკინა, ყინულზე მისამაგრებლად. დავვილოცა გზა ბიძა ბექირბეიმ, თენგიზმა, ჩემმა ბიძაშვილმა, მომცა ხუთმანათიანი ოქრო და ჩვენ 6 სვანის თანხლებით შევუდექით გზას ალანეთისაკენ, რომ გადაგველახა, თუ შევიძლებდით. ის მთავრები, რომელიც ჰყოფს ქუთაისის გუბერნიას და კერძოდ სვანეთს თერგის ოლქიდან, მთავრებილი „იუსუნგი“.

## მუშნი ღადიანი — სამეგრელოს შვირული რაინდი

უკანასკნელმა სიტყვამ, სულის ამოხდის დროს, „გაუმარჯოს საქართველოს, ღმერთო, იხსენი ის მონობისაგანო“, ჩემში ღრმა კვალი დასტოვა და იმ დღიდან, თუ შეიძლება ითქვას, ერთი ორად კი არა, გამიასკეცდა ის სიყვარული და უსაზღვრო ღვაწლი საქართველოს განთავისუფლებისადმი, რომლის მიღწევა, როგორც ჩემმა შეხედულებამ მიკარნახა, შეიძლებოდა მხოლოდ ბრძოლით, რევოლუციური მოძრაობის გარეშე, გაძლიერებით, ქართველ მშრომელ მასაში ეროვნული ენერჯისა და პოტენციის ამალღებით, შემართებით, რომელიც 30 წლის განმავლობაში ჩემის ღრმა დარწმუნებით, თითქმის მოსპეს, გაანიავეს მესამე დასის ბელადებმა ნოე ჟორდანიამ და ფილიპე მახარაძემ. აი, ამ გზას რომ დავადექი, სწორედ მაშინ იყო, გავეცანი ახალს შემეცნებას, ახალს ორგანიზაციას, რომელსაც საძირკველი ჩაუყარა დაუვინყარმა ჩვენმა ბელადმა არჩილ ჯორჯაძემ შევიცარიანში და რომელსაც იმ დღიდან ბრძოლა გამოუცხადეს ნოემ და მისმა პარტიამ შევიცარიანშივე. 1904 წელს შევიქენი საქართველოს სოციალ-ფედერალისტური (სარ) პარტიის წევრი, ჩავები მათთან მოძრაობაში და ვოცნებობდი საქართველოს ავტონომიაზე, მაგრამ მართალი უნდა ითქვას, რომ ეს ავტონომია მაინც არ მაკმაყოფილებდა და ვეძებდი გამოსავალს გზას მხოლოდ და მხოლოდ რუსეთიდან გამოყოფაში. რასაკვირველია, „პარტიული დისციპლინის გამო“ ამაზე

თავზარი დავგეცა ყველას. ამ დღეს მიტინგზე თუმცა ეს მოზღვავებულ ხალხს დაუმალეს, მაგრამ ხომ იცით, ხალხს არა დაემალება რა. გაჩნდნენ მაშინათვე მთავრობის აგენტები, რომელთაც გააგებინეს ხალხს ალიხანოვ-ავარიელის „საგმირო საქმენი“ და ისედაც მშობარა ხალხს უფრო გული გაუტეხეს. უკანასკნელი კრება ვასო ალშიბაიას თავმჯდომარეობით გვეკონდა ზუგდიდში სასტუმრო „კოლხიდაში“, სანდრო მესხიასთან, რომელიც ძალიან გვეხმარებოდა.

გამოვიტანეთ შესაფერი გადაწყვეტილება. იატაკქვეშ კარჩაკეტილთ ისევ უნდა ამოგვეყო თავი და ვინ იცის, რამდენი ხნით. ბევრი, ძალიან ბევრი ამხანაგი ჩამოგვმორდა, რაკი გაიგეს რეაქციის გამარჯვება. ადგილობრივმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა იარაღი დაგვებრუნებინა სტრაჟნიკებისათვის. უმრავლესობამ დააბრუნა კიდეც, მაგრამ მე უარი ვთქვი. გამომეცა ოთხი კაცი. მარტო მე და სპირიდონ კედი, ოხლად დარჩენილები, დავადექით სოფელ ჭკადუაშიაქენ მიმავალ გზას, რათა დავმალვოდით რეაქციას. ჩვენი პარტიული რაზმელებისაგან შეგვრჩა სვანი ღალუ კვიციანი, სტეფანე ეგუტია და ისაკი კვარაცხელია და ერთხანს ნესტორ შეროზია. უკანასკნელი ჩამოგვმორდა მაშინათვე, როცა დარწმუნდა, რომ ჩვენ ავირჩიეთ სიკვდილი, ვინემ მთავრობის ხელში ჩაგვარდნა. აი, ეს ხუთი კაცი 1906 წელს, იმის შემდეგ, რაც გვეკონდა

ემზარ კვიციანი

### დავით ჭითანავა

(სახალხო მთქმელი, 1876-1948)

### კოემა გვანჯი ჩიქოვანზე

ძველი თავადიშვილია, დიდი გვანჯი ჩიქოვანი, მასზე ლექსი რომ დავწერო, თავი ვალდებულად ვცანი, დაბადებით დაენათლა არამხუტუს სიგრძე-განი, ჭკუა, გონება და სიბრძნე შესაფერი, შესაგვანი. მის საქმეთა აღწერაში მინდა მქონდეს მცირე წვლილი, კიდეც ვწერ და კიდეც ვამბობ — მაინც არ ვარ კმაყოფილი. მტრისას, გვანჯის გიდის გამო ჭირი რომ აქვს გადახდილი. თუმცა გიდის დისწულია, მისი ხელით გამოზრდილი. გაუმართლა კიდეც გვანჯიმ, იმედი რომ ჰქონდა დიდი, რუსები რომ თავს დაესხნენ, ალექსისთან ინვა გიდი, ხალხი რომ არ დაეხოცა, გაცლა ამჯობინა მშვიდი, გადასძახა: — „რას მერჩითო!“ და ფანჯრიდან ტყეში მიდის. მაშინ გვანჯიმ საქმე რომ ქნა, საარაკო, საქებარი,

ჩაფრებს რომ არ ჩავარდნოდა გიდის ცხენ-ხმალ სატეგარი, გაქუსლა და თან წაიღო, მისდევს მდევარ-მაძებარი, აუტეხეს ბათქა-ბუთქი, მაგრამ გაქრა როგორც ქარი. ორთავ, ბიძა და დისწული, კონიასთან დაიმალა, გაუგეს და შემოერტყნენ, თავს დაესხა შავი ძალა, გიდი დადგა როგორც ჯიხა, უკვე აღარ გაცეცალა, ურიადნიკი ჩააძალა, თვით სისხლისგან დაიცალა. როცა სახლში შემოცვივდნენ, მარტო გვანჯი შერჩათ ხელში. გათოკეს და „დააყუდეს“ ნასაყვანად მოსაცდელში, სად არისო ბიძაშენი, ნაუჭირეს ხელი ყელში, ქვეშაგები გადაქექეს, დაძვრებოდნენ ყველა ხერხელში. ეზოში რომ გამოვიდნენ, მოლზე ნახეს გიდის კვალი, გამოუდგნენ, მაგრამ უცებ ყველა გახდა შესაბრალო, გიდიმ სროლა რომ ატეხა და გაუსხნა ცეცხლის ალი, ყველა მტვერში აგორავა, მინით ამოუვსო თვალი. მტერს შეაკვდა, მაგრამ უფროსს ჩააბეჭდა გულში ტყვია, და შიშისგან გათანგული სტრაჟნიკები მტვერში ყრია. გვანჯი როგორ გაეპარათ აღარავის შეუტყვია,

მან შეიხსნა ბორკილები და ტყისაკენ გაუტია. რომ წამოდგნენ რეტდასხმულნი, ვეღარ იცნეს ერთმანეთი. გვანჯის გამოუდგნენ, მაგრამ მას სწყალობდა მისი ღმერთი. მის ძებნაში დაეკარგათ დღედაღამე არა ერთი, დღეს სვანეთში თუ დაქროდა, ხვალ ელოდა აფხაზეთი. რახან გვანჯი ვერ ჩაიგდეს, კონიას ჩაავლეს ხელი, მოუჭირეს ბატონიშვილს, დღე ანახეს საშინელი. შინაურნი აიშალნენ: გვანჯისთან აქვთ სათხოველი — თუ მთავრობას ჩაბარდები, კონის ექნება საშველი. თავი გაჰყო ხიფათში და კონიას კი დაეხმარა, „რაც მომივა, კიდე მე და ჩემი თავის ანაბარა!“ ამ სიტყვებით ჩაბარდა და მტერი ასე გაახარა და ცხოვრების კარგი წლები ციმბირს იქით გაატარა. ყველაფერი თავზე იდო, მტერს გონება აურია. არც ციმბირი აშინებდა, აღარც უცხო მანჯურია. არ დაზოგეს, გაასახლეს ბიჭი თვალნარბ-ხანტურია. გიდისათვის იტანჯოდა, ვისთან ჰქონდა სამღურია. (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ჩვენი კომენტარი ბატონ ბურამ კორპედიას წერილზე „ცოტა რამ კოლხეთსა და კოლხურ დამწერლობაზე“

მწელი დასაჯებელია, რომ ბატონ გ. კორკელიას აბსოლუტურად არაფერი სცოდნოდა ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ, მაგრამ როგორც ეს მისი წერილიდან ჩანს, მასში იმდენად ძლიერია თავის გამომხიზნის სურვილი, რომ მისი გულზე იდობა კაცს უნებლიეთ გახსენებს ანდახას, სპილოსა თუ ლომის შემყვარე ფინიას შესახებ. მან, არა მხოლოდ პირადად მე, არამედ სხვებზეც, ვინც კი, - აშკარაა, - სპეციალურად მოიხსენია თავის „წმინდა მეცნიერული სახის“ წერილში, მათივე გამონათქვამების მოხმობითა და სრულიად უსაფუძვლო განქიქებით, სერიოზულად შეურაცხყო. მათ შორის, რატომღაც, აღმონდნენ დიმიტრი მედვედევ და ბიძინა ივანიშვილიც, თუმცა წერილში მოტანილ მათ გამონათქვამებს არავითარი კავშირი არა აქვს საკითხთან „კოლხეთსა და კოლხურ დამწერლობაზე“. ეტყობა, უბრალოდ უნდად ეჩვენებინა, რომ მათი გამონათქვამების გაბითურებაც შეეძლო და ასედაც სცადა. ჩანს, ამგვარებიც ცალკეული თვითგამოცხადებული „ეტიმოლოგი მეცნიერ-მკვლევარებისადმი“ მიბაძვის მოსდის გ. კორკელიას. ამგვარი მიბაძვის შედეგი ჩანს (აშკარა მსგავსების გამო) მისი შემდეგი „წმინდა მეცნიერული აღმონდნის“: „...სხვა ყველაფერს თავი რომ დაგანებოთ, ზუსტად მეგურული სიტყვაა და აქედან როგორ შეიძლება ის დასკვნა არ გააკეთოთ, დამწერლობა მეგურულია“.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე დავებნო შედეგს: ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში წავითხოვე ბატონ ივანე კვეციანს ასეთი გამონათქვამი: მეგურული სიტყვა ტ ქართულად ჯიქანს აღნიშნავს და ქართული ასო-ნიშანი ტ წარმოადგენს რძით დაბერილ ჯიქანს გაგსო. როგორც ვგახსოვს, კიდევ ორ თუ სამ ქართულ ასო-ნიშანზე ჰქონდა ანალოგიური გამოთქმა სხვანაირად ავტორს.

აღნიშნულის მიხედვით, ჩვენ, იმხანად, გავანალიზეთ რა ქართულის ასო-ნიშნები, პიქტოგრაფიული წარმომავლობა წარმოვაჩინეთ 9 მათგანში, ანუ ქართულის ასო-ნიშნითა დაახლოებით 25 პროცენტში. ამის შესახებ წერილი გამოვაქვეყნეთ ჟურნალ „აია“-ს ნომერ 2-ში, სათაურით: „მოკლე კოლხური დამწერლობის შესახებ“. მაგრამ, ამაზე ერთერთი აკადემიკოსის რისხვა დავიმსახურეთ, რაზეც აღგვატური პასუხი გავეცით იმავე ჟურნალის ნომერ 3-ში, სათაურით „იდეგ ეთხელ კოლხურ დამწერლობაზე“. შემდეგში კოლხურ პიქტოგრაფიულ დამწერლობაზე მუშაობა სხვამ გააგრძელა, და, ასო-ნიშნითა კიდევ ერთი ნაწილის (დაახლოებით, 10 ასო-ნიშნამდე) პიქტოგრაფიული წარმომავლობის მისეულ მოსაზრებას ჩვენც დავეთანხმეთ.

ასეთ პირობებში, ვინმემ რომ გამოაცხადოს (თუ უკვე არ გამოუცხადებია), რომ კოლხური პიქტოგრაფიული დამწერლობის პირველწარმომჩენი და ბოლომდე შემსწავლელი ჩვენს გარდა და ჩვენამდე არავინ ყოფილა, რბილად რომ ვთქვათ, მორალური ვერ იქნება (ეს სხვათა შორის).

ამჯერად, გაკვრით ერთ ასეთ გარემოებაზეც: ჩვენთვის, აქამდე, არა ერთ და ორ პირობებზეა უთხოვია, ხოლმე: „ეს საკითხი, თუ შეიძლება, ჩვენ დაგვიტოვოთ“, და უარი არასოდეს არავისთვის გვითქვამს. ეს იმიტომაც, რომ ჩვენ, თანავეტორებს, ენათმეცნიერებაში სიტყვაცა და საკითხიც საქმარის არასოდეს გვჭირია. როგორც ზღვა და ოკეანის ვერა დააკლდება რა დოქით წელის ამოღებით, ჩვენს ნაშრომებსაც, მცირედთა დაიშობით არა დააკლდება რა, მაგრამ როცა მრავალჯერ და მრავალგან წაიკითხა, „სიტყვათწარმომავლობის (ანდა ეტიმოლოგიის) გამოკვლევა ჩვენამდე არავის აზრადაც კი არ მოსვლიათ“ (დაუნებოთი ცრუ რეკლამირებაც ხომ თავისას შერება), სიხარულით ცას ნამდვილად ვერ ეკვი კაცი, რომლის ნაღვაწუ ამ დარგში, ეპოთ, მოკლედ მაგრამ საკმაოდ თქვა. ცხადია, სხვა საკითხია, როცა შენსას თავად თობ, მაგრამ სხვა ვითარებაა როცა მის მიჩემებას სხვა შეეცდება.

ხეივანი აღნიშნულთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საზგასმით აღვნიშნავთ შემდეგს:

სიტყვათწარმომავლობის შესწავლით ჩვენ დაინტერესდით ჯერ კიდევ 1985-1987 წლებში, როცა ემუშაობით ჩვენს პირველ საენათმეცნიერო ნაშრომზე: „მეგურული დიალექტი“. იგი 1987 წელს გადაეცა სარეცენზოდ ენათმეცნიერების

ინსტიტუტს და გამოიცა ორ წიგნად 1991 წელს. მასში, სხვათა შორის, წარმოდგენილი გვაქვს ასეთი დასკვნები თუ მოსაზრებები: 1) „მეგურული ზმნისწინები წარმომავლობენ ადგილის ზმნისხედებისაგან“ (იხ. „მეგურული დიალექტი“, I, თბ., 1991, გვ. 178); 2) „მეგურული ზმნისწინები წარმომავლობენ ნაცვალსახელებისაგან“ (იქვე, გვ. 178, 182); 3) „ბგერა პირველადია. მისგან მიიღებიან და უ ბგერები და არა პირიქით, როგორც ენათმეცნიერებს მაინათ“ (იქვე, გვ. 190). აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ნაშრომის I წიგნის ბოლოთქმასში მოცემულია რეცენზიები ენათმეცნიერების ინსტიტუტის დოცენტებისა: ირინე ასათიანისა, დათარიღებული 1987 წლის 2 აპრილით და რეზო შეროხიასი, დათარიღ. 24.07.88 წ.).

აქ ყველაზე მთავარია ის, რომ ზემოაღნიშნული უკანასკნელი მოსაზრება, - ) ბგერის პირველადობის შესახებ, სწორედად პირველად იყო წამოყენებული ენათმეცნიერების ისტორიაში. ირ. ასათიანმა, რომელიც ადრე, თავის მხრივაც, არ გვეთანხმებოდა ამ მოსაზრებაში, წიგნის გამოსვლის შემდეგ, მას მხარი დაუჭირა, რაც ჩვენდამი გამოგზავნა პირად წერილში აღნიშნა (მას დღემდე ვინახავთ).

ასეთ ვითარებაში, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, განა უხერხული არ არის, რომ სიტყვათწარმომავლობის საკითხის კვლევაში პირველობას იჩემებდეს ვინმე? ასეც რომ იყოს, ხომ საკითხავია, ვინ რა გააკეთა ამ საქმეში ჰუმანიტების წარმოსახენად? უშეცდომოდ არავინ ყოფილა, - ვთქვით ზემოთ, და, ამ თემას დავუბრუნდებით. უშეცდომოდ არც ჩვენ ყოფილვართ და ვართ, ალბათ, აქამდეც.

ახე, მაგალითად: 1) ჩვენ ყოველთვის კარგად ვიცოდით, რომ მეგურული მეტყველება ენაა და არა დიალექტი, თუნდაც კოლხურის დიალექტი, რაც ძველი დროის ამბავია და არა დღევანდელი. მიუხედავად ამისა, რიგი გარემოებების გათვალისწინებით, დავაბუღდით ზოგი სპეციალისტის სურვილს თუ რჩევას, და ჩვენი პირველი საენათმეცნიერო ნაშრომის ჩვენმიერი სახელწოდება, - „მეგურული ენის ზმნის ზოგიერთი თავისებურება“, შევცვალეთ „მოკლე“ სახელწოდებით „მეგურული დიალექტი“. მაგრამ, მორიგ ნაშრომში, როცა სახეებით ნათლად წარმოჩნდა და დავასაბუთეთ კიდევ რეალური სინამდვილე, მეგურულს მუდამ მოვიხსენიებთ, როგორც ენას.

2) ნაშრომში „მეგურული დიალექტი“, 1, (თბ., 1991), ასევე (ოღონდ, უფრო მეტად სრულყოფილად) ნაშრომში „ენის წარმოშობის საიდუმლოება“ (ზუგდიდი, 1997), ჩვენ დავასაბუთეთ, რომ მეგურული (ახევე სხვა ენების) ზმნისწინები ადგილის ზმნისხედებისაგან წარმომავლობენ, მაგრამ არ წარმოგვიჩენია, თუ რისგან წარმომავლობენ თვით ადგილის ზმნისხედები. მხოლოდ მორიგ ნაშრომში „სიტყვათწარმომავლობა - ენის წარმოშობის საიდუმლოება“ (ზუგდიდი-სენაკი, 2003), შევხედეთ დავგენახა და სრული საბუთებებით წარმოგვიჩინა კიდევ, რომ ზმნისწინებიცა და სხვა საგრამატიკო საშუალებებიც, ისევე როგორც ხმოვანი ბგერები, აგრეთვე, ცალკეული მეტყველების ნაწილები (მათ შორის ზმნისხედები, ნაცვალსახელები და სხვანი) ერთიანი წარმომავლობისანი არიან: - წარმოდგენენ ემფატიკური ნახევრადხმოვანი ) ბგერის ფონეტიკურ ვარიანტებს. მეცნიერ-მკვლევარების მიერ დაშვებული შეცდომები, რასაკვირველია, არასასურველია, იმიტომაც, რომ შესაძლებელია ისინი სხვებმაც გაიმეორონ. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ენათმეცნიერებაში საუკუნეების მანძილზე გაბატონებული შეხედულება ენის წარმოშობის საფუძვლების ამოსხნის შეუძლებლობის შესახებ.

ჩვენს ერთერთ ნაშრომში მეგურულია და საერთო ქართულის შესატყვისობების (მაგ., ჭყე-ჭყინი, ჭყე-ჭყინი, შხ) რწმ-ინი/შიშხ-ინი, ხრხ-ინი/სიხ-ინი და მისთ.) ურთიერთშედარებისა (ფორმების სირთულე-სიმარტივის თვალსაზრისით) და იმის გათვალისწინებით, რომ მეგურულში ჯერაც დაუმთავრებელია თანხმეცნიერული ფორმების განხილვისა და აფიქსაციის პროცესიც, ასეთი შეფასება წარმოვადგინეთ: „მეგურული ენა განსაკუთრებით გამოირჩევა ლექსიკის სიმდიდრით, ამასთან, მეგურული ენა ჯერაც სრულად გაუმთავრებელი ენაა; ქართული ენა საოცრად გამარტივებული, სრულად განხილვადი და შეუდარებლად გრამატიზირებული ენაა“.

ერთ-ერთ მკვლევარს, ეს თეზისი, ჩანს, ძალიან მოეწონა და მას თავის კორექსოდენციებში ძალიან ხშირად იმეორებს, ოღონდ მეორე ნაწილის ამგვარი ინტერპრეტაციით: „ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა ყველაზე დახვეწილი, სრულყოფილად განხილვადი და გრამატიზირებული კლასიკური ენაა“.

არაფერს ვამბობთ ამ ფორმით მის მიჩემებაზე, მაგრამ ნამდვილად არ გვსიახლოვებს თვით ჩვენს მიერ დაშვებული უზუსტობის წარამარა განმეორება-წაკითხვა.

საქმე ის არის, რომ ჩვენ, ადრე, იქ, სადაც მეგურული ლექსიკის განსაკუთრებულ სიმდიდრეს შევხვით, იმის გათვალისწინებითაც, რომ ეს მეგურული პრიორიტეტულობის წარმომჩენის ცდად არავის წამოერთმია, სახეებით ბუნებრივად, მოგვეყვით საერთო ქართულ ენას და ვთქვით ის, რაც ვთქვით. სახეებით სამართლიანად აღვნიშნეთ, რომ მეგურულთან შედარებით, ქართული ენა ძალზე გამარტივებული და სრულად განხილვადი ენაა (იგულისხმება) ბგერის სრულად განხილვადი და არენიდან გასვლა). უზუსტობა გამოიხატა იმაში, რომ შეფასება „საოცრად გრამატიზირებული“ ითქვა ქართულ ენაზე და არა მეგურულ ენაზე, მაშინ, როდესაც, როგორც კვლევის საბოლოო მონაცემებმა გვიჩვენა და ზემოთაღნიშნა, მეგურულში დერიგატი საგრამატიკო საშუალებების რაოდენობა 523 ერთეულს შეადგენს, ქართულში კი მათი რაოდენობა 50-მდე ერთეულს ადგენს. ცხადია, ამით არის განპირობებული მეგურული ენის ლექსიკის განსაკუთრებული, დაიხს გასაოცარი სიმდიდრე მსოფლიოს ენების (მათ შორის ქართული ენის) ლექსიკებთან შედარებით.

როცა ავტორის მიერ დაშვებულ შეცდომებსა თუ უზუსტობებზე ვლანაპრაკობთ, უბრაიანა, მოკლედ ითქვას სხვათა მიერ სხვათა მონაცემების სათანადოდ გაგება-გამოყენების ვითარებაზეც.

ახე, მაგალითად, ჩვენს ნაშრომებში მოცემულია ასეთი შეფასება: „პირველყოფილი მეტყველება და ენა - ეს იყო სხვადასხვათი თანხმეცნიერული მეტყველება ერთ ენაზე - ბუნების ენაზე“.

ცხადია, ტერმინი „ბუნების ენა“, აქ, თუმცა სინამდვილის ამსახველია, მაგრამ მაინც, მეტაფორული გამოთქმაა. მაგრამ, შესაძლოა იმის გამო, რომ აღნიშნულ გამონათქვამში სიტყვები „ბუნების ენაზე“ ბრჭყალებში არ ჩაგვიხვამს (ჩვენვე დავიბრალოთ), ზოგმა მკვლევარმა იგი რატომღაც პირველყოფილი ენის სახელწოდებად მიიჩნია და ასედაც გამოაცხადა. ეს მაშინ, როდესაც, ჩვენს აღნიშნულ გამოთქმასთან ერთად ასეთი მოსაზრებაც იყო გამოხატული: „როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურაში (მაგ., არნ, ჩიქობავასთან) არის მოცემული, სულაც არ არის გამოირიცხული, რომ ენა არა მხოლოდ ერთ გარკვეულ ტერიტორიაზე და ერთ კოლექტივში წარმოშობილიყო, მაგრამ მაინც სულად არის მოცემული „ბიბლიაში“, რომ თვითდაპირველად წარმოიშვა ერთი ენა; ეს იმიტომ, რომ სადაც და რა დროსაც არ უნდა წარმოშობილიყვნენ ენები, პირველქმნილი ენა თუ ენები უთოოდ, წარმოიშობოდნენ მხოლოდ და მხოლოდ ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ხმაშიბაძვის საფუძველზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს იმას, რომ ენები წარმოშობილია ერთ საერთო გლოტოლოგიურ საფუძველზე, ანუ, ენობრივი ნიშნები - ბგერები და სიტყვები ერთი და იმავე მასალისგანაა მიღებული, - ისინი სხვა არაფერია, თუ არადა ბუნებაში მოცემული ბგერების ადამიანისეული რეპროდუქცია, სათანადო გარდაქმნა-გასოციალურების პირობებში“.

ახე, რომ, მნიშვნელოვან აქვს მონაცემის გამოხატვასაც და მის წაკითხვასაც.

და ბოლოს, უდავოა, არ არის მართებულ, როცა ერთი ავტორის თუ თანავეტორების მიერ წარმოდგენილ ამ თუ იმ დიდმნიშვნელოვან მონაცემს სხვა მკვლევარი უმაღ გაიმეორებს თავის ნაშრომში, ისე, რომ საკუთრივ ავტორის თუ თანავეტორების ვინაობა არც კი უთითებს (საკითხი ეგება, მაგალითად, ჩვენს ბლოგდროინდელ განაცხადს, რომ „მეგურული ენის ლექსიკა ითვლის 1 მილიარდ 410 მილიონ 145 ათას 286 სიტყვას პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ“. აქ, მოცემული რიცხვის სხვის მიერ დამრგვალება, ცალკეული სიტყვების ადგილის შეცვლა ან სულაც ამოღება, მონაცემის

მიჩემების შესაძლო მცდელობას, თუ ეჭვს ამის შესახებ, ვერ გამოირიცხავს. ამიტომაც, ასეთ რამეს მკვლევარი უნდა მოერიდოს (ეს სხვათა შორის).

ზემოაღნიშნულით იმის თქმაც გვინდა, რომ შეცდომების დანახვა და აღიარება ყველას გემართება.

გ. კორკელიას რომ თუნდაც რამდენიმე ერთეული შეცდომა და უზუსტობა გამოვლენინა ჩვენი ნაშრომებიდან, რაოდენი მძიმე შეფასებაც არ უნდა მიველოდებინა მისთვის, ჩვენ გარკვეული გაგებით მოვეკიდებოდით მას, მაგრამ არაფრის გამო ესოდენი ინტრიგული გამოსვლია და მთელი ჩვენი ნაშრომის არარაობად გამოცხადების მისეული ცდა ნამდვილად მიუღებელია, და, აი, რატომაც:

ჩვენი საენათმეცნიერო ნაშრომები მხოლოდ მათი ავტორების კუთვნილებას როდი წარმოადგენენ (არც ჩვენ წარმოვადგენთ მხოლოდ საკუთარი თავის კუთვნილებას). ისინი სრულიად საქართველოსა და კაცობრიობის კუთვნილებასაც წარმოადგენენ, და, ამიტომაც, მათი უსაფუძვლოდ უარყოფის, მიუთმეტეს, განქიქების უფლება არავის აქვს. ამ ნაშრომებით, ჩვენ, სახეებით თამაზად შეიძლება ითქვას, მსოფლიო ენათმეცნიერების ეიცენტრი, რომელიც ხან სანკტ-პეტერბურგში, ხან პრალაში და ხან კიდევ, ვინ იცის, სად იყო, ამიერიდან საქართველოში გადმოვიტანეთ და დავამკვიდრეთ სამუდამოდ, ვინაიდან ენის წარმოშობის საკითხზე უფრო დიდმნიშვნელოვანი, საინტერესო და პრობლემური საკითხი ენათმეცნიერებაში (და არა მარტო აქ) აქამდე არ ყოფილა და არც მომავალში იქნება.

ჰუმანიტმა ენათმეცნიერებმა და სხვებმა, ღვაწლი ჯეროვნად დაგვიფასეს. მერე რა? - თუ კი, ცალკეული მეგურელთომოვლე ფსევდოპარტიკული კვაზიენათმეცნიერები და სხვანი, რომელთაც, თავის დროზე, იმერული ყველის, მეგურული სულგუნის, კახური ღვინოს და მისთანათა შემწეობით გაუწაღინებიათ სამეცნიერო ტიტულები, შემდგომში კი სტერეოტიპებისა და სქემების ტყვეობიდან ვერ განთავისუფლებულან, და, ახალი და ფასეული მაინცდამაინც არაფერი შეუქმნიათ, - ჩვენი ნაშრომების შესახებ, ჯერ კიდევ, საფლავის უწარწერებო ქვესავით რომ სდუმან და ამით ცდილობენ მათს მიჩქმადვას?!

ამგვარ „მამალ ენათმეცნიერებს“ (რ. მიშველადის გამონათქვამია ჩვენი შედოტომულის პრეენტაციაც, 300-მდე პროფესორისა და აკადემიკოსის წინაშე), ჩვენის მხრივ, ამგვარ შეჯიბრებაზე ვიწვევთ: ჩვენი ასეულობით თეორიიდან, პიპოთეზიდან თუ დასკვნიდან, ენის წარმოშობის საკითხზე და საერთოდ ენის ფენომენის შესახებ, გავგებობთ (ცხადია, არგუმენტირებულად) თუნდაც რამდენიმე ერთეული;

ჩვენს მიერ ამ უკანასკნელად შედგენილი ოცტომეულიდან, კერძოდ, მის II-XVIII ტომებში წარმოდგენილი მეგურული ენის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონიდან, რომლის ყოველ ერთ გვერდზე საშუალოდ დაფიქსირებულია (იკითხება) 160 000-მდე სიტყვა, შეარჩიონ თუნდაც ერთი გვერდი, იმუშაონ მასზე რამდენი ხანიც სურთ, ბოლოს დაბრანდნენ ჩვენთან ერთად და გავკვიკეთონ ანალოგიური გვერდი, ანდა, უამისოდაც, ამოიკითხონ მოცემულ გვერდზე მოხმობილი ლექსიკა (ოცტომეულშივე წარმოდგენილი ამ ლექსიკონით სარგებლობის შესახებ ვიკითხებთ).

აი, ამის შემდეგ ეტყვიან მათ მორალური უფლება და შეეძლებათ კიდევ, შეაფასონ (ან არ შეაფასონ) ჩვენი ნაშრომები.

შედარებისათვის: დაახლოებით სამასმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ინკვიზიტორებმა ჯორდანო ბრუნო კოცონზე დაწვეს იმის გამო, რომ განაცხადა, დედამიწა ბრუნავს და არ გადათქვა იგი. როგორც ამას პრესა იუწყებოდა, ამ თორიდე წლის წინ რომის პაპს მიმართეს თხოვნით, რომ მოეხდინა ჯორდანო ბრუნოს რეაბილიტაცია, რაზეც მან უარი განაცხადა.

**მამანტი ძაძაძია,**  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტი,  
კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, 8 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ხუთი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„რაც მოვივა ღაბითაო, ყველა შენი თავითაო“



გარდაუვალია მიზეზ-შედეგობრიობის შეუვალი კანონი. წერილის სათაურიც ზედამოჭრილია ქართველი ერის დღე-კანდელი მდგომარეობისათვის, თუ ჯერ კიდევ არსებობს ასეთი ერი.

„კარაპეტინი წაგვეპოტინა – პირწავარდნილი სომეხი დედაქალაქს გვედაგება“, – კითხულობთ გახეთქილ „საქართველო და მსოფლიო“ (იხ. 30 აპრილი – 6 მაისი, 2014 წ. №15 (250)). რატომ? მარტო დედაქალაქს გვედაგება? განა მთლიანად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს არ გვედაგება? ვის არ უნახავს „დიდი არმენის“ რუკა? განა უსაფუძვლოდ გვედაგება? ცხადია, მსგავსი არასოდეს ყოფილა სინამდვილეში, მაგრამ რა საფუძველი გააჩნია ნატეჟარ „ქართლის ცხოვრებაზე“ დაყრდნობით საქართველოს ისტორიის გამაღებებელ „დედაქალაქს“ მეცნიერებს უარსაყოფად ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში...“ მოჭორილი ცნობებისა, რომლის საფუძველზე შექმნეს დაშნაკა სომეხებმა „დიდი არმენის“ რუკა, ხოლო „ქართველმა“ მეცნიერებმა საქართველოს ისტორია? აბსოლუტურად არაფერი, გარდა უსაფუძვლო სურვილისა! მაგრამ იბერიული ენის საბოლოოდ დასამარებაში დარწმუნებულმა, გარეშე, თუ შინაურმა მტრებმა ვერ გაითვალისწინეს ყველაფერი, თუ დმერთმა არ მისცა ყველაფრის ნება, თავიანთი გაყალბებული ისტორიით მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო კითხვები წარმოშეეს, რომლებიც მრავალჯერ დაუკუსი 2004 წლიდან მოყოლებული ქართველ მეცნიერებს და მივანიშნე, რომ ისტორიის გაყალბებაშიც უმარტივესი ლოგიკური შეცდომები პქონდათ დაშვებული, რომ ქუჯი და ფარნავაზი მოგონილია, მათი პროტოტიპები მე-10 საუკუნეში მოღვაწე თეოდოს II და მისი დისშვილი – ბაგრატ III ბაგრატიონი და მოუწოდებდი ელიარებინათ სიმართლე. რადგან, თუ ფარნავაზმა შექმნა ენა ქართული, ხოლო მანამდე ქართლისათა ენა სომხური იყო, რომელსაც „ზრახვიდეს...“, მაშინ პრეტენზია, რასაც სომეხები აყენებენ ლეონტი მროველის ცნობებითა და მის საფუძველზე შექმნილი „დიდი არმენის“ რუკით, უსაფუძვლო არ ყოფილა და ნებისმიერ შესაძლო შემთხვევაში „თავიანთი“ ტერიტორიის დაბრუნებისათვის მათი მოქმედება გამართლებული იქნება. ამის შემდეგ დაიწერა (2012 წ.) საქართველოს ისტორია, მაგრამ უფრო გაზვიადებული და გაყალბებული: თურმე ქართული ენა ფარნავაზამდე დიდი ხნით ადრე იყო სახელმწიფო ენა, ბევრად ადრე, ძვ.წ.ად. მე-3 ათასწლეულის შუა პერიოდიდან ყვოდა ქართული კულტურა და მწერლობა (სახელდობრ, ასეთი სახელწოდებით), იბერია ქართლის ელინური სახელწოდება და ა.შ. თავისი აზრით, აკად-სმა მარიამ ლორთქიფანიძემ ამ ახალი სიყალბით შეასწორა წინაპართა

მიერ მე-11-მე-12 საუკუნეების მიჯნაზე დაშვებული ლოგიკური შეცდომები, მაგრამ იპოვა გამოსავალი? პირიქით, ისევე დაუშვა უფრო დიდი შეცდომა, რომელიც მდაბიოთა უფრო გასაბრუნებლად კი, მაგრამ ოდნავ მოაზროვნე ადამიანის შეცდომაში შესაყვანად ვერ გამოდგება: კითხვაზე, თუ იბერია და ქართლი ერთიადიგივე იყო, რატომ გამოეყო ქართლი იბერიას მე-2 საუკუნეში, დუმილის მეტი გზა არ დარჩენიათ. და ეს გააკეთეს იმის იმედით, რომ მედროვენი, ტრადიციისამებრ, ხმის ამოდებას ვერ გაბედავენ, მე კი ყოველმხრივ შემზღვევს: ამიკრძალეს კომპეტენტურ სამეცნიერო დაწესებულებებში მოხსენებების გაკეთება. პარალელურად, ნაცვლად იმისა, ერთადერთი ძალა – ცოცხალი იბერიული (ე.წ. მეგრული) ენა, რომელიც დაშნაკ-სომეხთა და „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში...“ ავტორის მიერ მოგონილ სიცრუეს ფარდასხდის და ამხელს, რაც არ უნდა დაუჯდეთ ტარიელ ფუტკარაძეს და მათ თანამოაზრეთ, მსოფლიოს უნდა აღიარებინონ ქართლის დიდიშვილები. მაგრამ ამას თუ მიადწვევენ ქართული ენა გამოდის უცხო ენათა 100%-იანი კონგლომერატი და საქართველოს ადვილად მოეველება. მოველო კიდევ. მიზანი მიღწეულია. მაგრამ ანტიეროვნულმა ძალამ აშკარად იჩინა თავი. ანანია ჯაფარიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ტარიელ ფუტკარაძე და მათი თანამოაზრენი ან ჭკვიანი მტრები არიან, ან უგუნური მოყვარენი, რომელთა მოსყიდვა არათუ 30 ვერცხლით, 10 ვერცხლითაც შეიძლებოდა. მაგრამ მორე ვარიანტი ნაკლებსარწმუნოა. მტრები (ალბათ, გვარგადაკეთებული ჯაშუშები) კი, რადგან, რასაც ისინი აკეთებენ ასე ხელაღებით საქართველოს მიმართ, ვერაგი მტრის გარდა, არავის შეეძლო. მათი წყალობით დაეკარგეთ საქართველო. აქამდე რუსეთს ეწუნობდით, რომელთაგან საქართველოს საწინააღმდეგო ზოგ უარყოფით ქმედებებთან ერთად, ბევრი სიკეთეც გვახსოვს. ხოლო, აკაკი ჯორჯაძის სიტყვებით, რომ ვთქვათ, ვერაგი „შავი“ მასონების ხელში საქართველო, ქართველობა, ეროვნულობა დაეკარგეთ. ეროვნულ თვითმყოფად კულტურას ბოლო ედება. სამაგიეროდ, თავს გვახვევენ ავადმყოფურ, ანო-მალაიურ-ამორალურ თვისებებთან შემწყნარებელურ-შემრიგებელურ კანონს, რომელიც უმცირესობის უფლებათა დაცვის საბაბით, ქართველი ერის უდიდესი უმრავლესობის აშკარად მიზანმიმართულ დისკრიმინაციის საფუძველს წარმოადგენს. ეს ჭეშმარიტება მათემატიკური სიზუსტით აქვს გაანალიზებული ბ-ნ აკაკი ჯორჯაძეს (იხ. გაზ. „მედიკალი-ახალი სიტყვა“, 25.04.2014. №5 (173), რომელიც განგაშის ზარებს არისსხებს: საქართველო და ქართველობა წავგართვესო! მაგრამ ქართველი ერის ეროვნული არამდგრადობისა და სულიერი დაცემის მიზეზს, არ ვიცი გაცნობიერებული არა აქვს, თუ სპეციალურად გაურბის მასთან დაკავშირებით დისკუსიას, არ უღრმავდება. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართველი ერის დღევანდელი სამარცხვინო მდგომარეობა ერთსულონების დაკარგვის ბრალია და მოგვიწოდებს სულიერი გაერთიანებისკენ, მაგრამ მთავარ მიზეზს, რომელმაც გამოიწვია ერში ერთსულონების დაკარგვა და გათითოკაცება, არ ახსენებს. ბ-ნი აკაკის ადრე გამოცემული ნაშრომიდან ჩანს, რომ მეგრული ენის შეფასებაში, ის ან არაუღწერფელია, ან მხოლოდ საუკუნეების განმავლობაში ქართველი ერისთვის თავსმომხვეულ სიცრუეთა შხამნარევი კერძებითაა ნასაზრდოები.

კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ უნდა შევეცადოთ, რაც შეიძლება მოკლე დროში ამოვიძიროთ და აღმოვფხვრათ უკვე აშკარად თვალსაჩინო ნეგატიური შედეგის გამოწვევი მიზეზი და, უუჭველია, შედეგიც სასიკეთოდ შეიცვლება. ხოლო ყვირილმა წლების განმავლობაში „სიტყვა მოვიდა და გავერთიანდეთ ქართველები, თორემ დაგიღუპებით“, სამწუხაროდ, რა შედეგიც მოგვიტანა, სახეზეა. მოკლედ, ვერ გავკვერთიანა მშრალმა მოწოდებამ გაერთიანებისკენ.

როცა შესწავლილი გვაქვს მეგრული ენა, მისი ენობრივი მონაცემები და მნიშვნელობა საერთო-სალიტერატურო ქართულად წოდებული ენის ზრდა-განვითარებაში, როცა ღრმად გავჯერა ე.წ. მეგრული ენის უდიდესი ღირებულებისა ლინგვისტიკისა და, საერთოდ, კაცობრიობის შემდგომი განვითარებისათვის, მე, მეგრელი კაცი, როგორ გავერთიანდე საზოგადოების იმ ჯგუფთან შეგნებულად, გულწრფელად, სულიერად, რომ ჩემი გაერთიანება მასთან იყოს მტკიცე და უსიკვდილოდ უღალატო, როცა მეგრული ენის სიდიადის შეუცნობელ ჯგუფის ნებისმიერ წევრს გულზე ეკალივით ესობა და არაფერს ერიდება მისი დაკინებისა და საერთოდ მოსპობისათვის? როგორ გავერთიანდე იმ ჯგუფთან მტკიცედ, უღალატოდ, როცა ღრმად მჯერა, რომ ქართველი ერის დღევანდელი სამარცხვინო მდგომარეობა, სწორედ, ამ ჯგუფის მიერ მეგრული ენის სიდიადისა და პროტოქართულობის უარყოფის შედეგია?

როგორ უნდა გაერთიანდეს არა მონა, არამედ სულიერად თავისუფალი მეგრელი კაცი ძალასთან, რომელმაც, ალბათ, იცის მეგრული ენის წარმომავლობა, მისი სიდიადე და მნიშვნელობა, მისი როლი და წილი თანამედროვე საერთო სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბებაში და ეს ჭეშმარიტება, რომ არ გავრცელდეს საზოგადოებაში, კრძალავს მასზე პროპაგანდას, თვითონ კი თავგანწირული იბრძვის ღვთიურის საწინააღმდეგო დააკანონოს – მოიპოვოს მსოფლიოს დასტური ე.წ. მეგრული ენის დიდიშვილები აღიარებაზე?

ვის აწყობს მონური მორჩილებით გაერთიანებული ქვეყანა, თავისი ქვეყნის ჭეშმარიტად პატრიოტს, თუ უცხო დამპყრობელს, რომელსაც მხოლოდ სარგებლის მიღება სურს მორჩილი ქვეყნისგან? ჭეშმარიტ ქართველს რაინდული, უღალატო მშა ურჩევია გვერდში, რომელსაც მისთვის თავგანწირვა შეუძლია, თუ მონა, იძულებით გაყვანილი ბრძოლის ველზე, რომელსაც თავისი სიცოცხლის გადასარჩენად ყოველთვის შეუძლია უგანისა?

აღნიშნული კითხვების გაანალიზების შემდეგ, ბუნებრივად იბადება ახალი კითხვა: როცა მსგავსი წერილების მრავალჯერ გამოქვეყნების შემდეგაც ქართველთაგან არავინ გვეხმაურება, როცა არ ჩანს კაცი, რომელიც გულთან მიიტანდა საერთო ეროვნული სხეულის თანდათანობით მდრდნელ ტკივილს და საკუთარ აზრს შემოგვიავაზებდა ეროვნული სულის სამკურნალოდ, საქართველოში გაბატონებული ძალა ქართულია, თუ უცხო დამპყრობელი, რომელსაც არა და არ აწყობს პროტოქართულ ენად იბერიული (ე.წ. მეგრული) ენა, არამედ ურჩევია უწარსულო, ეროვნულ ძირს მოწვევითი, სხვადასხვა უცხო ენათა ნარევი ენაზე მეტყველი ქართველი?

მრავალჯერ მითქვამს, მაგრამ კიდევ გავიმეორებ, ქართული ენა ჩემთვის მშობლიურია, საერთო სალიტერატურო და სახელმწიფო ენად აუცილებელი და შეუცვლელი, რამეთუ მე ამ ენაზე ვაზროვნებ; შეგნებული გვაქვს 1008 წელს, მისთვის საერთო სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭება და რაციონალიზმი, ამიტომ გვანტერესებს მისი კიდევ უფრო ზრდა-განვითარება და გამდიდრება იბერიული (ე.წ.

მეგრული) ენის უნიკალური ლექსიკით, მიუხედავად იმისა, ქართული ენა მსოფლიოში აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი კლასიკური ენა. ამიტომაც ზოგი მედროვე მეგრელისგან განსხვავებით, პირდაპირ ვიტყვი, რამდენად უხეშადაც არ გამომივიდეს: ნურავის შეეშინება იმისა, რომ ქართული ენა სახელმწიფო ენის ფუნქციას დაკარგავს და ქართველურად წოდებული, რომელიმე ენა შეცვლის. ე.წ. მეგრული ენისთვის, მსოფლიოს ყველა ენათა დედისთვის, დღეს ასეთი პატარა ქვეყნის, თუნდაც, სახელმწიფო ენის სტატუსის დაბრუნება, ვერაფერს შეგმატებს მის ღირსებას. მეგრულ ენას უკვე მოპოვებული აქვს საკმარისი ღირსება. ის, ენისა და მეტყველების წარმოშობისა და განვითარების ცოცხალი მატანა (იხ. მ. ძამაძია, ც. ძამაძია... მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატანე, ოცტომეული ჯერჯერობით, კომპიუტერული ვერსია) და არავის ავნებს ამ ენაზე ვიდაცამ ლექსი, ან მოთხრობა დაწეროს, პირიქით, აუცილებელი და დიდად სასარგებლოა ლინგვისტიკური თვალსაზრისით. მაგრამ მონურია გაველენის მოხდენის ცდა იმ თვალსაზრისით, რომ მარტო მეგრული კი არა, მთლიანად ქართველი ენა დაჩაგრული და დამოუკიდებლობაზე ფიქრი დამღუპველიაო. წინა წერილებში ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ გაყალბებული ისტორია საერთოდ ქართველი ერის დაცემის მიზეზთა მიზეზი, მაგრამ ამ მიზეზის აღიარებას გაურბის ქართველ მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი. ამიტომ გვეპარება ეჭვი მათს ქართველობაში. ხოლო ქართველი მოღვაწენი, არა მედროვე, არამედ ეროვნული, ნამდვილი პატრიოტები თავისი ქვეყნისა, ნაცვლად იმისა, ხმის უნდა იმაღლებდნენ არა ჩემს წინააღმდეგ, არამედ ისტორიის გამაღებებელთა წინააღმდეგ, არა ჩანან. სამაგიეროდ, გამოჩნდნენ პიროვნებები, რომლებიც მსაყვედურობენ, როგორც წამოცვლა დამოუკიდებლობაზე სიტყვით.

ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული რამდენად ტრაგიკული იქნება ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფისათვის საქართველოს დაშლა. მაგრამ მონობაში სიკვდილს, ჩემო საყვარელო ძმაო, საითკენაც გინდა მეც ჩამიყოლო, კაცურად სიკვდილი მირჩევნია. რატომ გამოგვე შენ, მონობისკენ მიდრეკილს, თუ მე სულიერად მაინც ვარ თავისუფალი? მაცხოვაროც ხომ დაახლოებით ასე გვმოდგვრავს: „თუ შენი ძმა ცდება და დასაღუბად მიჰყვება სატანას, შეეცადე იხსნა იგი. თუ არაფერი გამოგივიდა ჩათვალე, რომ ძმა დაკარგე“.

ამდენად, თუ გონს არ მოვეგეთ, ტრაგიკული დასასრული გარდაუვალია, მაგრამ, ვიმეორებ, მონობაში სიკვდილს ბევრად სჯობია კაცურად, რაინდულად სიკვდილი და, თუ დაპყრობილი ვართ უცხო ძალის მიერ, რატომ არ უნდა ვიფიქრო დამოუკიდებლობაზე და, ცოტა ხნით მაინც, თვითგადარჩენაზე, მით უმეტეს, მაშინ, როცა სხვა არცერთ გზას არ მიტოვებ?

და ბოლოს მივმართავ მეგრულ თანამემამულეებს, რომლებიც ცნობილ გახეთქებს და ჟურნალებს რედაქტორობენ, ქართველი ერის ისტორიაზე უსაფუძვლო, გაზვიადებულ და, ამასთან, მეგრელებისა და მეგრული ენის ღირსების შეურაცხყოფელ მასალებს უპრობლემოდ ბეჭდავენ, ხოლო ჩემი წერილების ბეჭდვას, ლუკმის დაკარგვის შიშით, ვერ ბედავენ: დედამიწაზე არ დაბადებულა და ვერც დაბადება პიროვნება, რომლის სიცოცხლე სამშობლოს გაწირვად ღირდეს!

კუპური ფიფია, „ფაზისი“-სა და „აია“-ს საერთო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი

# მხარს ვუჭერთ ღირსეულ კანდიდატს — ვახტანგ კეკელია ხალხის რჩეულია



ჩვენი მეგობარი ქართული ეროვნული მორაობიდან ვახტანგ ერეკლეს-ძე კეკელია დაიბადა 1950 წლის 5 იანვარს, აბაშის რაიონის სოფ. მეორე კოდორში, პედაგოგების – ერეკლე კეკელიასა და ქეთევან გუგუშვილის ოჯახში. არის უმაღლესი განათლებით, აფხაზეთის ომის მონაწილე, დევნილი, ქვეყნი 1994 წლიდან, ჰყავს ოთხი შვილი და ოთხი შვილი-იშვილი.

1961 წელს წარმატებით დაამთავრა აბაშის რაიონის, კეთილარის თემის სოფ. მეორე კოდორის დაწესებითი სკოლა. 1967 წელს – კეთილარის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1972 წელს და განაწილებით მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტის “საქკოლმშენარქიტის” სოხუმის ფილიალში ინჟინრად, უფროს ინჟინრად, მთავარ სპეციალისტად და პროექტის მთავარ ინჟინრად. 1987 წელს საქართველოს “აგრომრეწვის” თავმჯდომარის ბრძანებით დაინიშნა გულრიფშის “აგრომრეწვმშენერგოს” დირექტორად, სადაც მუშაობდა დევნილობამდე.

2005 წლიდან მუშაობდა სმს აბაშის განყოფილებაში სოციალურად. იყო ამ

საქმის მცოდნე და როგორც ყოველთვის პრინციპული და მიუკერძოებელი, მაგრამ ვინაიდან 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს აშკარად გამოხატავდა მის უარყოფით დამოკიდებულებას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისადმი, მაშინდელ “დემოკრატიულ” მმართველობის პერიოდში, აზრების გამოხატვის გამო, ყოველად უსამართლოდ გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. მისი სამწლიანი მცდელობა, ეპოვა სამართალი, უშედეგოდ დასრულდა, მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2013 წელს აღუდგინეს უფლებამოსილება.

ის ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ მისი სულიერი სამყარო ჩამოყალიბდა დიდი კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებების, გენიალური პოეტის ვაჟა-ფშაველას და სტუდენტობის პერიოდში პირველ პოეტად აღიარებული მუხრან მაჭავარიანის ლექსებზე. არის დიდი მამულიშვილების, ქართული სულის ხიბლის მატარებელ ზვიადის და მერაბის იდეებზე აღზრდილი და მათი იდეების სიკვდილამდე გამტარებელი. სიყვარულითა და სიხარულით იხსენებს, რომ ჰქონია ბედნიერება შეხვედროდა ერის მისიყვარულე პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას იქვერის დედაქალაქ გროზნოში და მისგან მოესმინა: “ჩვენ ყველანი ქართველები ვართ, ცხენისწყლის გაღმა თუ გამოღმა მდგომნი, ღმერთმა ნუ ქნას ეს დაგვაფიწყდეს”. მისი თქმით, ეს იყო ზუსტად იმ აზრის გაგრძელება, რომელიც 1991 წელს, საქართველოს პარლამენტის წინ მიმდინარე მიტინგზე ერთადერთმა კანონიერად არჩეულმა პრეზიდენტმა ბრძანა: “ჩვენ ისინი ტყვიას ვგვისვრიან, ჩვენ მათ ყვავილები ვესროლოთ – ჩვენ ერთად უნდა გადავარჩინოთ, ჩვენი საქართველო”.

ვახტანგ ერეკლეს-ძე კეკელია 1990 წლიდან არის “ველსინგის კავშირი – ეროვნული აღორძინების” წევრი. 1990 წლის საქართველოს საპარლამენტო და 1991 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, გულრიფშის რაიონში იყო სარჩევნო ბლოკის “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო” შტაბის ხელმძღვანელი. დიდი წვლილი მიუძღვის გულრიფშის 14

ბატალიონის ჩამოყალიბებაში, რომელიც ღირსეულად იცავდა პრეზიდენტს 1991-1992 წლების მოვლენების დროს და ბანდიტებისაგან დევნილ პრეზიდენტს სომხეთშიც გააყვია. ის, საკუთარ ყველაზე დიდ წარმატებად თვლის გვარდიის საგამწვევო კომისიის თავმჯდომარეობისას ეროვნულ გვარდიაში ოთხი აფხაზი წევრამდელის გაწვევას, როცა ქართველების ნაწილიც კი, მიუხედავად გაწვეული ახსნა-განმარტებისა, სამწუხაროდ, მიდიოდა საბჭოთა არმიის რიგებში.

იყო სოხუმში, თბილისში თუ აბაშაში მიმდინარე თითქმის ყველა საპროტესტო აქციის აქტიური მონაწილე. 1995 წელს, თბილისში, საქართველოს “ველსინგის კავშირის” მესამე ყრილობაზე, აირჩიეს რესპუბლიკის გამგეობის წევრად და დაეკისრა დასავლეთ საქართველოს განყოფილებების კურატორობა. მისი ძალისხმევით აღდგენილ იქნა რაიონული ორგანიზაციები აბაშაში, მარტვილში, სენაკში, წალენჯიხაში, ზუგდიდში, ფოთში, ოზურგეთსა და ქუთაისში. ავად-სახსენებელ შევარდნაძის რეჟიმის დროს არ აცდენია ცემა, ელექტროშოკით წამება თუ მრავალჯერ უმიზეზოდ დააპატიმრებია, რამდენიმეჯერ სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ არ შემდრკალა და ბრძოლას მუდამ აგრძელებდა ერის მამის, ილია ჭავჭავაძის უკვდავი ანდერძის “მამული, ენა, სარწმუნოება” მიხედვით, რადგან ეს არის მისი ცხოვრების დედააზრი და მთავრესი მიზანი.

არის საზოგადოებრივ-სახალხო მოძრაობა “აბაშელის” ერთ-ერთი დამფუძნებელი და 2013 წლიდან მისი თავმჯდომარე, სადაც აქტიურად მონაწილეობს. მაგალითად, საზოგადოება “აბაშელის” წარდგინებით, აბაშის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა ნავსაკოველ თეთონასწავლ აგრონომ-დეკორატორს, ეროვნული მოძრაობის უზუცეს წევრს რეზო ალანას, და ანსამბლ “ჰარიას” დამაარსებელ ზაურ თორდიას. საზოგადოება “აბაშელის” ინიციატივითა და რაიონში მოქმედი ეროვნული ძალების მოთხოვნითა და ხელმძღვანელობით აბაშაში ჩატარდა ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას დაბადებიდან 75 წლის აღსანიშნავი სახეიმი დონისიძება,

აბაშის ცენტრალურ პარკს კი ეწოდა ქრისტესმთვრეი ძმების “ზვიადის და მერაბის” სახელი.

ჯერ კიდევ 2012 წლის აპრილის თვეში, როცა ზოგიერთები სააკაშვილის სურათის წინ ლოცულობდნენ და მის რეჟიმს ზურგს უმაგრებდნენ, (ახლა კი უსირცხვილოდ ყვარვარესავეთ “გაოცნებდნენ”), მან გაზეთ “ილორში” გამოაქვეყნა მისი დადებითი დამოკიდებულება ბიძინა ივანიშვილისადმი და გვერდში დაუდგა “ქართულ ოცნებას”, ავადსახსენებელი დაშნაკის მიხედვით სააკაშვილის წინაღმდეგ ბრძოლაში.

ვახტანგ ერეკლეს-ძე კეკელია და მისი მეგობრები მსოფლიოში მიმდინარე კატაკლიზმების პერიოდშიც შესაძლებლობის ფარგლებში ვცდილობთ შევიტანოთ ჩვენი წვლილი ქართველი ერის ბრძოლაში მამულის, ენისა და სარწმუნოების გადასარჩენად და, მოგიწოდებთ ყველას, მივიღოთ მონაწილეობა ამ საქმეში, თორემ მერე გვიან იქნება “ტუნზე კებანი”, რადგან არსებობს იმის საშიშროება, რომ ჩვენი თაობაც აღმოჩნდეს ამ ქრისტიანული ცოდვის სოლომურ ორომტრიალში. ეს კი, მოგესხენებათ, ღვთისაგან არანაირად არ გვეპატიება ქართველებს და ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს!

ვახტანგ ერეკლეს-ძე კეკელია, საინიციატივო ჯგუფის წარდგინებით, დამოუკიდებელ კანდიდატად იყრის კენჭს აბაშაში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებზე.

ვიციტ, რომ ძალზე მძიმეა ხალხის რჩეული ბედი, რომ იგი ნაკლებად ეკუთვნის საკუთარ თავს და მთავარ საზრუნავს მისი ამრჩევი საზოგადოების წინაშე ვალდებულება წარმოადგენს, მაგრამ ღრმად გვწამს, რომ ვახტანგი მედგრად გაუმკლავდება ნებისმიერ პრობლემას და დღენიდავ იზრუნებს საზოგადოების ნდობის გამართლებისათვის!

მხარს ვუჭერთ და წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს თანამებრძოლს ვახტანგ ერეკლეს-ძე კეკელიას!

მისი მემბრობები და მხარდამხმრები  
ეროვნული მოძრაობიდან

## გამოვიდა ლავრენტი ბერიას თარგმანის მეორე ტომი



გამოვიდა მეორე ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XXI საუკუნის საშემთხმომ მინეჰმეო”. გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დიდის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

## იხმორი

სომხეთის რადიოს ეკითხებიან: – რას ნიშნავს საქორწინო მანქანის თავზე დადგმული ორი ბეჭედი? – თავიდან ანგარიში ნოლით ნოლია.

სატელეფონო ზარი: – საიდან არის? – ფესხაცმელების მადლია. – უკაცრავად, ნომერი შემეშალა.. – არა უშავს, მოიტანეთ და გამოცეცვლით!

ორი სვანი ცხენებს იყიდიან და ფიქრობენ, როგორ გაგარჩიოთ ერთ-მანეთისგანო. ერთი ეტყვის მეორეს: – მოდი კუდეები დავაჭრაოთ. დააჭრიან ორივე ცხენს კუდს და მინც ვერ არჩევენ. მარჯვენა ყურებსაც მოაჭრიან, მერე მარცხენას, ცხენები ისევ ერთნაირია. ბოლოს ერთი იტყვის: – მოდი, მაშინ თეთრი შენი იყოს და შავი – ჩემო.

**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქმულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**

**სახალხო მკურნალმა მოუპოო ომი ჯარ კილავ მკლავარ ნაშიონალურ ფარმაკოპოლიას, რომელიც მის ღაჩირკვას სტილიოზს და კვლავ ჩაღვა ხალხის ჯანმრთელობის საფრთხეში**

დომენტი გავნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰეპრანავს გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შველის ცერებრალურ დაზიანებას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს ცეროზს I და II სტადიებში, ცუპპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატები: თმლაპი, პაპპასიონის ქუჩა №61-ბ, ბაზნიკი ბიჭიკო (ლომენტი). ტელ: 893-22-66-51 8(250) 7-61-24.

თბილისი, აჭყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.